საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 17 აპრილი 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომ. 3 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 15X2 სტრიქონზე მეტი 100 მანეთი. [illegible] განცხადებებს არ ღებულობს. რედაქცია და კანტორის მისამართი: [illegible] ქ. 4, [illegible] ქუჩის მე-10-ით. ტელეფონი 16—69

№ 85 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციისა № 85

Тбилисская Филиал ИМЭЛ при ЦК ВКП (б) Библиотека

ეროვნული ბიბლიოთეკა

1058

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე, ნატალია სპირიდონის ასული, შვილები ოლღა ფარეიშვილისა, ალექსანდრა ჯაველიძისა, ნიკოლოზ, სპირიდონ და ვასილ, რძლები: თამარა და ელენე, სიძეები: სერგო ფარეიშვილი, კირილე ჯაველიძე, შვილის შვილები: მიხაკო, ელენე, ალექსანდრა და მარია ფარეიშვილები, ანჟელინა, კოტიკა და ფეცია ჯაველიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 17 აპრილს გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი [illegible] ეკლესიაში ქ. ოზურგეთში.

ქაიხოსრო გიგოს ძე ჯაყელის

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ქეტო სერგეევის ასული, მშობლები: ელისაბედ და სამუელ, ძმა ილიკო და მეუღლე მისი მატრონე, დები: ფეფო და პელაგია, სიძეები: სერგო [illegible] და დიმიტრი პეტრიაშვილი. სიმამრი დიმიტრი და სიდედრი [illegible] სურგულაძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას მათთვის ძვირფასის და დაუვიწყარის

ისაკი სამუელის ძე თოიძის

რომლის დასაფლავება მოხდა ოთხშაბათს 14 აპრილს (ძ. სტ.) ნაშუადღევს 2 ს. ლიხაურის ღვთის მშობლის ეკლესიაში (1284 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ელისაბედ ანდრიას ასული, მეუღლე ნინო გიორგის ასული ქალით ეკატერინათი, ძმები: მიტროფანე და ნიკოლოზ გაბრიელის ძენი პოლუმორდვინოვები, და ნატალია გაბრიელის ასული მეუღლით ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე გამრეკელი შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 18 აპრილს დღის 2 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი პოლკოვნიკ

დანიელ გაბრიელის ძე პოლუმორდვინოვის

(1281 1—1)

კვირას, 18 აპრილს [illegible] წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება გარდაცვალებიდან ერთი წლის და წლისთავის წირვა და პანაშვიდი წმინდა ნინოს ქ. გიმნაზიის მე-4 კლასის მოწაფის

ნინოსი და მისი 5 წლის დის ელენეს ([illegible])

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ღრმად დამწუხრებულნი მამა ბარნაბი, დედა პელაგია და ძმა გიორგი ([illegible]) სურგულაძეები (1294 2—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე [illegible] შვილებით: ავთანდილ, სიმონ, ნესტორ, არჩილ, სერგო, ლეონტი, გიორგი და ილია; რძლებით: ელენე, მარგარიტა, გაიანე და სონია; ქალიშვილებით: ვერა [illegible] და [illegible] თენიეშვილისა; სიძეებით: [illegible] თენიეშვილი და აკაკი [illegible]; შვილის შვილებით: ანელი, მაგდანა, [illegible], ანიკო, თამარი და ნინო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

დათა ეგნატეს ძე ქლენტის

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება [illegible] წმ. [illegible] ეკლესიაში შაბათს, 17 აპრილს (ძ. სტ.) (1285 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: დარიკო, [illegible], ნინო (გოგოლა), ვარლამ და მიხეილ, სიძე მიხეილ ხერხეულიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასის

გიგო სპირიდონის ძე ლონტის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება კვირას 18 მარტს დიდუბის წმინდა ღვთის მშობლის ეკლესიაში. (1296 1—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ნატალია იასონის ასული, შვილები: ვარო, მარო, ირაკლი, შალვა და რუსუდანი, ცოლის ძმები: ნიკოლოზ, დავით, ივანე და დიმიტრი ციცქარიშვილები, დისწულნი: გიორგი და მარიამ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს 17 აპრილს გადახდილი იქნება კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში წლის წირვა და პანაშვიდი

დიმიტრი ზაქარიას ძე ჩარკვიანის

სულის მოსახსენებლად, წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე. (1297 1—1)

კონკურსი

გორის და მის მიდამოებში მომხდარ მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე მთავრობის საგანგებო კომიტეტი, აცხადებს კონკურსს სეისმომძლე ნაცხოვრებელ სახლების პროექტის შესადგენად, [illegible] და 800 [illegible].

შემდეგ პირობებზე:

1) უნდა დამზადდეს პროექტი სოფლური ორ ოთახიან სახლისა თავის სამზარეულოთი; პირველი ოთახის სიდიდე—4—5 ოთხკუთხი საჟ., მეორისა—7—8 ოთხკუთხი საჟ. მეორე ოთახის აგებულობა ნავარაუდევი უნდა იყოს ისე, რომ [illegible], კაპიტალური შეკეთების გარეშე, შეიძლებოდეს მისი ორ ოთახად გაყოფა, მეორე ოთახშივე უნდა მოეწყოს საწოლი ტახტები და კედლის განჯინები ჭურჭლეულობის, ტანისამოსის და ყოველ დღე სახმარებელი საგნების შესანახად.

2) სახლებზე მიშენებული უნდა იქმნეს: ვერანდა, (ბალკონი) ერთი საჟ. სიგანისა გრილი [illegible] სურსათისათვის (ლობიო, ხახვი, ყველი და სხვა), რომლის სიგრძე—2 კვ. საჟ., და ფეხის ადგილი, რომელიც, თუმცა, შეერთებული უნდა იყოს სახლთან, მაგრამ ჰიგიენური მოსაზრებით არ უნდა იყოს მიდგმული მასზე ორგანიულად.

3) პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად დებულებებს:
- ა) განზრახული შენობა უნდა იყოს სეისმომძლე.
- ბ) " " " ეკონომიური (მასალის დაზოგვით ნაშენი).
- გ) " " " ჰიგიენური.
- დ) " " " ცეცხლის მძლე.
- ე) " " " უნდა აკმაყოფილებდეს დაზარალებულ რაიონის ყოფა-ცხოვრების პირობებს.

3) შენობა უნდა წარმოადგენდეს ხელოვნურით [illegible], რამდენადაც ასეთ მცირე და მარტივ ძიებას შეეფერება და შეფარდებული უნდა იყოს ადგილობრივ ყოფა-ცხოვრებისა და გეოლოგიურ თავისებურებასთან.

4) რადგანაც ადგილობრივ ბაზარზე არ მოიპოვება მრავალი სხვადასხვა სამშენებლო მასალა, ამიტომ პროექტის შედგენის დროს მხედველობაში მისაღებია მხოლოდ შემდეგი მასალა:
- ა) საძირკვლისათვის—საფუძველი—ქვა, დატეხილი რიყის ქვა, ბეტონი.
- ბ) კედლისათვის—აგური, ქვა, დამუშავებული და დაუმუშავებელი ტყის მასალა, თიხა, ბეტონი.
- გ) ჭერისათვის—დამუშავებული და დაუმუშავებელი ტყის მასალა.
- დ) სახურავისათვის—რა მასალასაც ავტორი დაინახავს საჭიროდ, გარდა რკინისა, რომლის ხმარება არ არის სასურველი

5) ადგილობრივ ბაზარზე უქონლობის გამო, რაც შეიძლება ნაკლებ უნდა იქნეს ხმარებული შემდეგი მასალა: რკინა, დუღაბი (ცემენტი), ტყის დამუშავებული მასალა (განსაკუთრებით—სახურავის ფიცარი) კედლების შენებაში კი არ შეიძლება ხმარება მთელი ხის [illegible] თუნდაც დაუმუშავებელისა.

6) პროექტის წარმოსადგენი უკანასკნელი ვადა დანიშნულია მაისის 10.

7) თავის გადაწყვეტილებას ჟიური გამოიტანს ერთი კვირის განმავლობაში დღიდან პროექტის წარდგენისა, პრემიის მიცემის წინ და მის შემდეგ ორი დღის განმავლობაში წარმოდგენილი პროექტი გამოფენილ იქნება საჯაროდ; განცხადებანი ჟიურის გადაწყვეტილებაზე, თუ ასეთები იქნება, მიიღება ორი დღის განმავლობაში, რომლის შემდეგ შემოსული განცხადება განუხილავად იქნება დატოვებული.

ჟიურის გადაწყვეტილების შემდეგ, კომისიის [illegible] საერთო სხდომაზე გაიხსნება საიდუმლო პაკეტები და გამოცხადდება ავტორის ვინაობა.

8) ჟიური შესდგება შემდეგი 5 პირისაგან: ინჟ. ქურდიანი, ტერ-მიქელოვი, [illegible] სავინი, წარმომადგენელი გორის ერობისა და მთავარი კომიტეტის. გარდა ამისა მოწვეულ იქნება ექსპერტად და [illegible] კომისიის დასკვნისათვის.

9) პროექტი უნდა წარმოდგენილ იქნეს ლაქით, რაიმე დევიზით, და დახურულ საიდუმლო პაკეტით, რომელშიაც იქნება ნაჩვენები ავტორის ვინაობა და მისამართი.

10) ნახაზი მასშტაბი: 2 დიუმ.—საჟენს—შენობის გეგმისთვის და პირისათვის (фасад) 1 დიუმი საჟენს,—ჭრილისათვის პროექტის აგებულობის წვრილმანები, რომელიც ნახავენ მის თავისებურებას (თანახმად მისი სეისმომძლეობის დანიშნულებისა) უნდა შესრულდეს გადიდებული მასშტაბით, თვით ავტორის შეხედულებით. პროექტების ნახაზის შესრულების წესი (ფანქარი, ტუში და სხვა) დამოკიდებულია ავტორის სურვილზე. პროექტს თან უნდა ახლდეს განმარტებითი ბარათი.

11) საუკეთესო პროექტებისათვის, რომელნიც დააკმაყოფილებენ კონკურსის პროგრამას, დანიშნულია ორი პრემია: 25,000 მან., და 15,000 მან. ამასთან ერთად საგანგებო კომიტეტი იტოვებს უფლებას წარმოდგენილ უპრემიო პროექტებიდანაც 10.000 მანეთად შეისყიდოს ის პროექტი, რომელიც მას მოეწონება.

12) თვითეულმა კონკურენტმა უნდა წარმოადგინოს პროექტის ორი ვარიანტი ვაკისა და ფერდობებისთვის, პროექტის განხილვა შეიძლება აგრეთვე ცალკ ცალკე და ჟიურის გადაწყვეტილებით, პრემია მიეცემა თვითეულ პროექტს ცალკე, საერთო გადადებულ თანხიდან ჟიურის გადაწყვეტილების თანახმად.

13) პროექტი უნდა წარმოდგენილ იქნეს ქალაქთა კავშირის სატექნიკო განყოფილებაში (პუშკინის ქ. № 3).

(6. 3—1) კომიტეტის თავმჯდომარე რ. არსენიძე.

მეაბრეშუმეთა საყურადღებოთ

მიღებულია

აბრეშუმის თესლი

საუკეთესო ხარისხის ცნობილი ფირმის

„არსენ ლუგანიანის"

თეთრი ბაღდადის ჯიშის, რომელიც იყიდება ქუთაისში მხოლოთ

სავაჭრო სახლში „ნ. ნებიერიძე, მ. ორაგველიძე და გ. იოსელიანი"

მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი. (1280—2—1)

ერობათა კავშირის კომიტეტი

აცხადებს, რომ მის საწყობებში არის შაშხი და ერბო კარგი ხარისხის და იცემა საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე და კერძო პირებზე ხელმისაწვდომ ფასებში.

მისამართი: ეროკავშირის სადგომი, რუსთაველის პრ., № 24.—კომიტეტი. (6. 2—1)

გორის სამაზრო ერობის გამგეობა

იწვევს სამსახურში აგრონომებს, მებაღეობის და მერძეობის ინსტრუქტორებს. თხოვნები მიიღება შემდეგი მისამართით: ქ. გორი, სამაზრო ერობის გამგეობა. (1258—6—3)

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოების არაჩვეულებრივი

საზოგადო კრება

დანიშნულია 2-ს მაისს, დილის 11 საათზე საკუთარ ბინაზე, ნაცვლად 14 აპრილს დანიშნულ კრებისა, რომელიც არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო კრებამ უნდა აირჩიოს გამგ. წევრი, ნაცვლად 3 ა. [illegible], რომელმაც სამსახურს თავი დაანება, და ამასთანავე განხილულ იქნება მოხსენება საზოგადოების წესდების § 91 შეცვლისა. ამ კრებაზე რამდენი წევრიც უნდა დაესწროს კანონიერი იქნება. (1285—3—1)

ტფილისიდან გამგზავრების გამო

იყიდება

ელექტრონის წისქვილი

ფრანგული ფირმების სისტემის ქვებით, დინამო მოტორი 220 ვოლტი და 25 ძალიანი და აგრეთვე წისქვილის ინვენტარი. იკითხეთ: დუსიმონოვის მოედანი № 3. [illegible].

(1268—2—2)

ბათომის გარშემო

ბათომი ყოველთვის საქართველოს ნაწილი იყო, ხან შეერთებული ხან მაზე ჩამოშორებული, მაგრამ არსებით, ტრადიციებით, ინტერესებით, მისწრაფებით მასთან დაკავშირებული.

ამ დღეებში გაზეთებმა ცნობა მოიტანეს, რომ ეს უდავო ნაწილი საქართველოსი დიდი და მწვავე დავის შემდეგ საქართველოს კუთვნილებათ იქნა აღიარებული უმაღლესი კოალიციის მიერ. ანტანტის ქვეყნებიც იმავე დასკვნას დაადგნენ, რასაც საქართველოს დემოკრატია, მთელი ქართველი ხალხი. თვით ჩვენი მეზობლებიც ამ საკითხში სცნობდნენ საქართველოს სიმართლეს და გულში თუნდ [illegible] ბათომის ბედის სხვა მხრივ გადაწყვეტა, აშკარად ამის თქმას თავს არიდებდნენ და ხმა მაღლა ჩვენს განცხადებით მაინც ბათომის უფლებას აღიარებდნენ.

ევროპის სახელმწიფოებმა კი ეს დიდი დავის საგანი [illegible] გადაწყვიტეს.

ამ ქამთ მიღებული ცნობებიც არ შეიცავს მის საბოლოო გადაჭრას. იგი მხოლოდ პირველი და შეიძლება [illegible] ნაბიჯია ევროპის სახელმწიფოთა აზრთა გამორკვევისა ამ საკითხში.

დიდი და რთული ინტერესები იყო გადახლართული ამ ჩინებული პორტის გარშემო, რომელიც უმეტესი და საუკეთესო ნავსადგურია ამიერ-კავკასიის კარების, დარაჯია მისი დიდი გზის, რომელიც აზიის თვალუწვდენელ ქვეყნებისა და უთვალავ სიმდიდრისკენ მიიმართება. არ არის გასაკვირი, რომ იმპერიალისტური დიდი სახელმწიფოს მადა დიდი სიამოვნებით [illegible] ამ დიდმნიშვნელოვან პუნქტს თავის საკუთარ კლანჭებში და [illegible] მის განკუთვნილად, [illegible]. მაგრამ ეს იქნებოდა ერთგვარი მონოპოლია [illegible] ამ დიდი და ფართო მნიშვნელოვანი გზით ვაჭრობისა, რომელსაც ამიერ-კავკასია წარმოადგენს. ეს იქნებოდა აგრეთვე მონოპოლია თვით ამიერ-კავკასიის მშვენიერი ბუნებით და უხვი სიმდიდრით განუყოფლად სარგებლობისა.

კიდევ მეტი—ეს იქნებოდა მძიმე ჯაჭვი, ადგილობრივ ერების ყელზე გაბმული, რომელიც გახსნა და გაწყვეტა მათ ძალ-ღონეს აღემატებოდა. ევროპის კარები უნდა შემოეკეტა ჩვენს მხარეს, ევროპის ყოველ ნაწილს უნდა გაძნელებოდა მოსვლა ჩვენს მხარეში. ორივე მხრივ იქნებოდა ზარალი და [illegible] მოტანა—ერთის სასარგებლოთ. და ჩვენ მტკიცედ იმ აზრის ვიყავით, რომ ბათომის საკითხში ჩვენი ინტერესი—[illegible] მოპოვებისა ევროპაში გასასვლელად, სავსებით ეთანხმებოდა ევროპის ნამდვილ ინტერესებს კულტურის და განვითარების წინმსვლელობის.

იგი იყო პროგრესიული, იგი იყო საერთო სასარგებლო.

მით უმეტეს საკვირველი იყო ჩვენთვის ამდენი ხნის რყევა და გაურკვევლობა ამ საკითხში.

სადაო და საფიქრებელი არ უნდა ყოფილიყო, რაც ის, რომ საქართველოს შეუძლია წესრიგის დაცვა და ყველას ინტერესების უზრუნველყოფა იქ, სადაც მისი ხელმწიფება არის დამყარებული. მიუხედავათ ამისა, ჩვენ ვხედავთ, რომ საკითხი საბოლოოთ გადაჭრილათ არ ჩაითვლება. იგი კიდევ უნდა შეიქნეს საგანი მსჯელობისა და დამტკიცების. ჩვენ ახალი მეტის იმედით და რწმენით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწორი სამართლიანობისკენ გადიხრის.

და ვფიქრობთ, საბოლოო გადაწყვეტილება უფრო სამართლიანი და გარკვეული უნდა იყოს, ვინემ დღევანდელამდე მოსული ცნობები.

ბათომში უნდა იყოს საქართველოს სუვერენობის ქვეშ. ბათომში რომელიმე სხვა ძალის სუვერენული უფლების შემოღება თუნდა მის ნაწილში მიუღებელია. ჩვენ ვამბობთ სუვერენობაზე, სახელმწიფოებრივ უფლებაზე. რაც შეეხება მეზობელ და ევროპიულ სახელმწიფოთა ინტერესების უზრუნველყოფას—ჩვენ ყოველთვის და ყველგან ვიყავით მომხრე ამ საკითხის დადებითად გადაჭრის.

საქართველოს ბათომი არასოდეს არ იქნება დახშული ამიერ-კავკასიის ერებისა და სახელმწიფოებისათვის. მათი ინტერესი, რამდენადაც ეს ეხება ბათომს, სავსებით იქნება მხედველობაში მიღებული. მხოლოდ ამ მიზნით არ უნდა იქნეს შელახული სუვერენობა საქართველოსი. ამას არც მოითხოვს თვით არსება საქმის და ეს იქნებოდა მხოლოდ კონფლიქტების ახალი წყაროს შექმნა; ეს იქნებოდა უდავო საგნის სადავოთ გადაქცევა. ამ უზრუნველობის, ალებ-მიცემობის ინტერესი თხოულობს ერთ ხელის უფლების ყოლას ამ მნიშვნელოვან პუნქტში. მისი განაწილება შეუძლებელია და მიუღებელი.

და მიღებულ ცნობებში ეს აზრი არც უნდა იყოს იგი [illegible] თქმაა მეზობლებისთვის პორტით სარგებლობის ნების მიცემაზე. სარგებლობის უზრუნველყოფა კი შეიძლება [illegible] და ჩვენი სახელმწიფოებრიობის შეულახველათ.

ჩვენ არც გვეჭვის ეს. და გვ ნდა ვიფიქროთ, რომ ევროპის სახელმწიფოები თავიანთი ინტერესების [illegible] კარნახით უნდა მივიდნენ ამავე დასკვნამდე.

და ის დიდი სახელმწიფო, რომელიც ყველაზე მეტათ არის დაინტერესებული ბათუმის ბედით, და რომელიც ყველაზე მეტათ ფიქრობს მისით სარგებლობას მომავალში, პირველი უნდა შექმნას ჩვენი წამოყენებული მოსაზრებების მომხრე. ამით დაიკმაყოფილება ის ნორმალური მდგომარეობა, რომელიც საქართველოსაც დააკმაყოფილებს და მათ ინტერესებსაც.

ბათომი სავსებით საქართველოს უნდა გადაეცეს.

ზოგი რამ ფინანსიური პოლიტიკისათვის

I

უდავო ჭეშმარიტებაა ის, რომ სახელმწიფო ყოველ გვარი პოლიტიკის ნაყოფიერად წარმოებისათვის საჭიროა მიზან-შეწონილი, წინასწარ გათვალისწინებული სისტემა და გეგმა მუშაობისა. როგორც მიზნები, ისე საშუალებანი წინასწარ უნდა იყვნენ გარკვეულნი; მხოლოდ დროისა, გარემოებისა და პირობებზე დამოკიდებული ამა თუ იმ საშუალებების და ზომების მიღება წინასწარ დასახული მიზნების მისაღწევად.

უამისოთ ყოველ გვარი პოლიტიკის წარმოებას ექნება შემთხვევითი და მერყევი ხასიათი. ასეთი ბრმა და გაურკვეველი პოლიტიკა კი ხშირად [illegible] იქნება რისკზე დამყარებული, ავანტიურის ხასიათი მისცეს სახელმწიფოებრივ მეტათ რთულ და ძნელ მუშაობას და ამ გზით გაუთვალისწინებელი შეცდომები და „[illegible] ექსპერიმენტები" დაუშვას. ასეთი [illegible] და რისკიანი ბრმა [illegible] მუშაობა კი, მით უმეტეს სახელმწიფოს აღმაშენებლობით ხანაში, მეტად სახიფათოა და დამღუპველიც.

აქ დიდ აშკარაა, რომ ჩვენთვისაც საჭიროა გათვალისწინება იმ უმთავრეს პრინციპებისა და მთელი სახელმწიფო სისტემისა, რომლის მიხედვითაც უნდა ვაწარმოვოთ სახელმწიფოებრივი შემოქმედებითი მუშაობა. ასეთი სისტემა აგებული უნდა იყოს პოლიტიკის ყოველ დარგში წინასწარ მეცნიერულად შესწავლილ მასალაზე, ცხოვრების სინამდვილეზე და იმ ტენდენციაზე, რომელსაც ბადებს ჩვენი გარდამავალი ისტორიული მომენტი. ყოველგვარი [illegible] პოლიტიკა ანგარიშს უნდა უწევდეს შესაძლებლობას და ცხოვრების რეალურ ფაქტებს, მის პირობებს და არა [illegible], მაგრამ არსებულ პირობებში განუხორციელებელ სურვილებს.

ამავე დროს ყოველ-გვარი, როგორც

დღე

სან-რემოს კონფერენცია ოსმალეთის საზავო პირობების განხილვასთან ერთად შეიმუშავებს გერმანიის განიარაღების ზომებს კონფერენციის თავმჯდომარეთ იქნება იტალიის პრემიერი ნიტტი.

ფინეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის საზავო მოლაპარაკება გრძელდება.

ყაზახში სომეხ-თათართა შორის დაწყებული შეტაკების სალიკვიდაციოთ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციამ საგანგებო დელეგაცია გაგზავნა.

საზოგადოთ სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, ისე კერძოდ ეკონომიური, ფინანსიური, საგარეო და სხვა პოლიტიკა გამსჭვალული უნდა იყვეს ერთი დემოკრატიული სულით; ყოველი დარგი პოლიტიკისა ერთი მეორესთან ორგანიულად უნდა იყოს დაკავშირებული, რადგანაც ისინი ერთი მეორიდან გამომდინარეობენ და დიდი გავლენაც აქვთ ერთი მეორეზე. სახელმწიფო ერთი მთლიანი, მეტად რთული და სათუთი ორგანიზმია და ამიტომაც მისი სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვენ, რომ ასეთივე ერთი მთლიანი, ერთი მეორესთან შეფარდებული და შეთანხმებული სახელმწიფოებრივი მუშაობა სწარმოებდეს; საჭიროა, რომ ყოველი დარგი პოლიტიკისა სხვადასხვა გზით და საშუალებებით ერთსა და იმავე მიზნებს—საერთოდ კი სახელმწიფოს კეთილდღეობას ემსახურებოდნენ.

ცხადია, რომ ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკასაც ესაჭიროება თავისი საგარეო და საშინაო პოლიტიკა, კერძოთ თავისი დემოკრატიული ეკონომიური და ფინანსიური პოლიტიკაც.

სანამ თვით ფინანსიურ პოლიტიკაზე ვილაპარაკებთ რაიმე, საჭიროა აღინიშნოს, რომ საზოგადოთ სწორი ფინანსიური პოლიტიკის წარმოებისათვის საჭიროა ყოველ მხრივ მოწყობილი და მოწესრიგებული სახელმწიფო. ფინანსიური კრიზისის გასანელებლად, მის გასაჯანსაღებლად და საზოგადოთ სალი ფინანსიური პოლიტიკის საწარმოებლათ საჭიროა ორგანიზაციულად უკვე დასრულებული და ეკონომიურ ძალთა ფაქტიურ ურთიერთობის მიხედვით ჩამოყალიბებული სახელმწიფო. ფინანსიური კეთილდღეობის მიღწევა შეუძლებელია მოუწყობელ და მოუწესრიგებელ სახელმწიფოში; ფინანსიური მდგომარეობა სარკეა თვით სახელმწიფოს ყოველ მხრივი, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური, მდგომარეობისა. ფინანსიური სიმტკიცე გამომხატველი და მაჩვენებელია თვით სახელმწიფოს სიმტკიცისა და მისი კეთილდღეობისა. მტკიცე საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიურ საფუძველზე დაფუძნებული ის სახელმწიფო, რომელსაც აქვს ფინანსიური კეთილდღეობა და მაგარი კურსი ფულისა; ხოლო სუსტი და ამის გამო განსაცდელში ჩავარდნილი ის სახელმწიფო, რომელსაც ფინანსიური კრიზისი ქრონიკულ მოვლენად გადაექცევა და მისი ფულის კურსიც პროგრესიულად ეცემა. ასეთ სახელმწიფოს შინაგანი მოვლის დარღვევა და მისი დამოუკიდებლობაც დიდ საფრთხეშია ჩავარდნილი.

ჩვენი სახელმწიფოებრივი მდგომარეობა არა სანუგეშო სურათს წარმოადგენს და უკეთ დემოკრატიის საერთო ძალღონით არ იქნა მიღებული და განმტკიცებული შესაფერი ზომები, მას განსაცდელიც მოელის.

ჩვენი ნორჩი სახელმწიფო ჯერ ისევ აღმაშენებლობით პროცესშია; ის ჯერაც არ ჩამოყალიბებულა ნამდვილ, ყოველგვარ სახელმწიფოებრივი ორგანოებით დაგვირგვინებულ, დასრულებულ სახელმწიფოდ; რამდენადაც ეს აღმაშენებლობითი პროცესი ხანგრძლივდება, იმდენათ უფრო მწვავდება და ღრმავდება ის ეკონომიურ-ფინანსიური კრიზისი, რომელიც დიდ ხიფათს გვიმზადებს შიგნიდანვე აფეთქებით.

ერთი მთავარი მიზეზთაგანი ასეთი გახანგრძლივებისა არის ის გარემოება, რომ დღევანდლამდე ჩვენ არა გვაქვს საჭირო სიმაღლეზე მდგომი საჭირო სახელმწიფოებრივი, ყოველმხრივ მოწესრიგებული აპარატი; არა გვაქვს ასეთივე სიმაღლეზე მდგომი ადმინისტრაცია და სასამართლო; არა გვაქვს ასეთივე შეთანხმებული, სოლიდარულ მუშაობით გამსჭვალული სახელმწიფოებრივი თვითმმართველი ორგანოები და სანამ ყოველივე ეს არ გვექნება, ამაოა ლაპარაკი სწორ ფინანსიურ პოლიტიკაზე და ფინანსების გაჯანსაღებაზე.

II.

როგორც ზევითაც ვსთქვით, სახელმწიფოს პოლიტიკურ ეკონომიურ მდგომარეობის მაჩვენებელი სარკე მისი ფინანსებია; როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური ცხოვრების პირობები თავის სწორ გამოხატულებას პოულობენ ფინანსებში, კერძოთ მისი ფულის კურსში, რომელიც სწორ-უტყუარ საზომს წარმოადგენს სახელმწიფოს მდგომარეობისას. ფულის კურსის აწევ-დაწევაზე მოქმედებენ როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკურ-ეკონომიური მიზეზები. კურსი ფულისა, ეს მეტად მგრძნობიარე ბარომეტრია, რომელზედაც მაშინვე აღიბეჭდება პოლიტიკურ-ეკონომიური ამინდიც და უამინდობაც.

აქედან აშკარაა, რომ ჩვენი ბონების კურსის დაცემა კარგს არას გვიქადის, რის წინააღმდეგაც სწრაფი და მიზანშეწონილი ზომების მიღებაა საჭირო. ამისათვის კი პირველ ყოვლისა საჭიროა თვით იმ მიზეზების გამორკვევა და შესწავლა, რომლებიც იწვევენ ფინანსიურ ავადმყოფობას.

ომისაგან გამოწვეულ ცნობილ საერთო მიზეზების გარდა, ჩვენი ფინანსიური კრიზისი გაორკეცებული და გართულებულია მრავალი სპეციფიური, ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ-პოლიტიკური სინამდვილიდან წარმოშობილი მიზეზებით.

ჩვენი ბონების კურსის დაცემაზე მოქმედებენ შემდეგი ეკონომიური მიზეზები: 1) მოთხოვნილებაზე ნაკლები სახალხო სიმდიდრის დამზადება; 2) საწარმოო ძალების განუვითარებლობა; 3) შრომის ნაყოფიერების დაცემა; 4) სპეკულიაცია; 5) მიწების ყიდვა გაყიდვის დიდი ხნით შეჩერება; 6) ხელფასის და ამის გამო ფასების ზრდა და სხვა. შემდეგ ამისა ფინანსიური ხასიათის მიზეზები: 1) გადასახადების ჩამორჩენა ფასების ზრდასთან შედარებით, 2) მათი დროზე გადაუხდელობა, 3) ზედმეტი ბონების ჭრა, 4) კრედიტის განუვითარებლობა. 5) აქტიური სავაჭრო ბალანსის უქონლობა, 6) ბაჟების და ტარიფების ჩამორჩენა ფასების ზრდასთან შედარებით, 7) საკუთარი ვალუტის უქონლობა დასასრულ პოლიტიკური ხასიათის მიზეზები: 1) საერთაშორისო მდგომარეობა ჩვენი რესპუბლიკისა და 2) შინაური პოლიტიკური მდგომარეობა.

შევჩერდეთ ეკონომიური ხასიათის მიზეზებზე. 1) მოთხოვნილებაზე ნაკლები სახალხო სიმდიდრის დამზადება. ეს ეკონომიური მოვლენა წარმოსდგება იქიდან, რომ რესპუბლიკის მცხოვრებნი საერთოდ უფრო მეტ სიმდიდრეს ხარჯავენ, ვიდრე ამზადებენ; ამის გამო სახალხო სიმდიდრის შემოსავალი ნაკლებია, ხოლო გასავალი კი მეტი, რაც ეკონომიურათ თანდათან ასუსტებს რესპუბლიკას და მის პოლიტიკურ მდგომარეობასაც საფრთხეში აგდებს. ამის გამო რესპუბლიკას ნაკლები ნდობა აქვს სხვა სახელმწიფოთა თვალში, რაც მისი ფულის კურსის დაცემაზე მოქმედობს.

აქედან აშკარაა, რომ ფინანსების და კერძოთ კი ჩვენი ფულის კურსის გასაძლიერებლათ საჭიროა მეტი სახალხო სიმდიდრის შექმნა, მეტ ღირებულებათა დამზადება ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, მომჭირნეობით ცხოვრება, სიმდიდრის დაზოგვით მოხმარება. ამიტომაც ყოველი მოქალაქე ისეთ პირობებში უნდა იქნეს ჩაყენებული, რომ ის იძულებული იყოს მეტი სიმდიდრე შექმნას, მეტი სარგებლობა მოუტანოს რესპუბლიკას, ხოლო შედარებით უფრო ცოტა დახარჯოს, ნაკლებათ დაატვირთოს ხარჯებით სახელმწიფო. ამიტომაც სახელმწიფოსაგან ყოველგვარი შეღავათები და პრივილეგიები უნდა მიეცეთ იმ მშრომელ და მოღვაწე მოქალაქეთ, რომლებიც თავისი ფიზიკური, გონებრივი, თუ სხვა გვარი მუშაობით რესპუბლიკას ყოველ მხრივ აძლიერებენ, მის როგორც მატერიალურ, ისე სულიერ კულტურას ანვითარებენ და მით რესპუბლიკის კეთილდღეობას ამაგრებენ. ხოლო რესპუბლიკის და დემოკრატიის ნებსითნი, თუ უნებლიეთნი, შეგნებული, თუ შეუგნებელი მტრები არიან ისინი, ვინც სახალხო სიმდიდრიდან უხვად სარგებლობენ, რესპუბლიკას სძარცვავენ, ხოლო სამაგიეროთ ძალიან ცოტას, ან სრულ არაფერს არ აძლევენ მას. ასეთები სასტიკათ უნდა იდევნებოდნენ და არავითარი შეღავათი მათ არ უნდა ჰქონდეთ.

2) საწარმოო ძალების განუვითარებლობა, პრიმიტიული, მამა პაპური შრომის იარაღებით, როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე ვაჭრობა მრეწველობის დარგებში საჭირო სახალხო სიმდიდრეს ვერ შევქმნით; ამისთვის საჭიროა განვითარებული და გაუმჯობესებული შრომის იარაღები, რომლებიც მეტი სიმდიდრის დაგროვების საშუალებას მოგვცემენ, როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე ინდუსტრიის დარგებში; ამასთანავე საჭიროა მთელს რესპუბლიკაში ტრანსპორტის მოწყობა, მისი გაუმჯობესება და მით რესპუბლიკის ყველა კუთხეთა ერთი მეორესთან მჭიდროთ დაკავშირება.

როგორც სასოფლო სამეურნეო, ისე სავაჭრო-სამრეწველო დარგებისა და საზოგადოთ სახალხო მეურნეობის განვითარება და აყვავება რესპუბლიკის ეკონომიურ მდგომარეობას გააუმჯობესებს, რაც მისი პოლიტიკური სიმტკიცის საფუძველსაც წარმოადგენს. საწარმოო ძალების განვითარება და ამ გზით სახალხო მეურნეობის წარმატება საშუალებას მოგვცემს სახალხო სიმდიდრის გაზრდა გამრავლებისას, რაც სახელმწიფოს შემოსავალსაც გაადიდებს. განვითარებული სოფლის მეურნეობა და ინდუსტრია მეტ სახალხო სიმდიდრეს ატრიალებს, როგორც შიგნით, სახელმწიფოში, ისე მის გარეთ გატანით და ამნაირათ სახელმწიფოს გადასახადების, ბაჟების და სხვა სახით თავისი შემოსავალი გაუორკეცდება.

3) შრომის ნაყოფიერების დაცემა. არსებულ პირობებში შრომა ვერ ნაყოფიერდება იმიტომ, რომ ა) არა გვაქვს გაუმჯობესებული იარაღები, ბ) მუშების ქონებრივი მდგომარეობა უნუგეშოა, რის გამო ისინი უკმაყოფილონი არიან და მათ არ შეუძლიათ თავისი სამუშაო ენერგია გაადიდონ, გ) კულტურული დონე მუშებისა სასურველ სიმაღლეზე არა დგას, დ) სპეციალური ტეხნიკური და სხვა ცოდნა არ არის ჯეროვანათ გავრცელებული.

სახალხო სიმდიდრის წარმატებისათვის არა კმარა გაუმჯობესებული შრომის იარაღები; საჭიროა უმთავრესად მუშათა კლასის დაკმაყოფილება, და ამ გზით მათი შრომის განაყოფიერება; უდავო ჭეშმარიტებათ არის ცნობილი, რომ მუშის შრომა მაშინ იძლევა სასურველ ნაყოფს, როდესაც მისი მდგომარეობა ცოტათ თუ ბევრათ უზრუნველყოფილია. ის სახელმწიფო გამტკიცდება და გამაგრდება ეკონომიურათაც და მასთან ამავე პოლიტიკურათაც, სადაც მუშათა კეთილ-დღეობა თვით სახელმწიფოსაგან არის უზრუნველ ყოფილი.

აქედან აშკარაა, რომ ყველა ზომები უნდა იქნას მიღებული მუშათა როგორც ქონებრივი, ისე სულიერი კულტურის დონეს ასაწევათ სათანადო სიმაღლეზე. ამ მიზნით პირველ მოთხოვნილების საგნებთან ერთად მუშებს უნდა მიეცეთ როგორც საზოგადო, ისე სპეციალური სწავლა-განათლება. ქონებრივად უზრუნველყოფილი და ევროპიულად ყოველ მხრივ განათლებული მუშები,—აი უმთავრესი მიზანი ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფოსი.

ი. ბოცოშვილი.

(შემდეგი იქნება).

ბაქო

საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილება აცხადებს, რომ გაზეთ „სლოვო"-ში მოთავსებული ცნობა ადერბეიჯან-ოსმალეთის სამხედრო კავშირის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება.

— საგარეო საქმეთა მინისტრი ხან-ხოელი ამ დღეებში თფილისში მიემგზავრება ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად.

— პარლამენტის ფრაქციებს მოლაპარაკება აქვთ მთავრობის შედგენის შესახებ. სოციალისტები მოითხოვენ რადიკალურ-სოციალისტურ მთავრობას. პრემიერათ ასახელებენ ჯაფაროვს, გაჯინსკის და რასულ-ზადეს.

— საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკების საწარმოებლათ ასახელებენ შემდეგ პირებს—ალი ემიროვს (თავმჯდომარე), ბაგირ რიზაევს, რაგიმ ვეკილოვს, მ. ვეკილოვს და რამდენიმე სოციალისტს. დელეგაციის გამგზავრებას ხელს უშლის პარტიების მოლაპარაკება მთავრობის შედგენის შესახებ.

— შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით დაპატიმრეს ბაქოს პოლიციმეისტერი მირზოევი, რომელსაც ბრალდება კომუნისტ ალი ბაირამოვის მკვლელობაში მონაწილეობა.

— 20 აპრილიდან მთელს ადერბეიჯანში დაიწყება იმ მცხოვრებთა აღწერა, რომლებთაც საარჩევნო უფლება აქვს. ამავე რიცხვიდან დაიწყება ადერბეიჯანის დამფუძნებელი კრების საარჩევნო სიების შედგენა.

— ვაჭრობის მინისტრმა ნება დართო ნავთის გამყიდველ ბიუროს ნავთსადენით გადაგზავნის ბათომში 2 მილიონ ნახევარი ფუთი ნავთი.

არდანუჯის გარშემო

გაზ. „ბორბა"-ში მოთავსებულია შემდეგი წერილი რედაქციის მიმართ:

„გაზეთ „ადერბეიჯან"-ში № 71 (თურქულ ენაზე) მე წავიკითხე წერილი სათაურით,—„არდანუჯის დაკავება", რომელშიაც ავტორი აცხადებს, რომ ამ რაიონის მცხოვრებლებმა სრულიადაც არ ისურვეს ქართველ ჯარების მისვლა იქ და რომ მე, რომელიც ქართველ რაზმის უფროსათ ვიყავ, თითქოს გავანადგურე მთელი ახალციხელი მუსულმანობა.

„საჭიროთ ვსცნობ ვაცნობო როგორც ქართველ, ისე მუსულმან საზოგადოებას, რომ მე ქართველ მუსულმანურ დივიზიონით დავიკავე არდაგანის ნაწილი, შავშეთი და არდანუჯი მხოლოდ ხალხის თხოვნისა და მიწვევის თანახმად, იმ ხალხის, რომელმაც ამ მიზნით არა ერთხელ გაგზავნა თფილისში დელეგაციები. ყველგან ამ რაიონებში, სადაც ჯარმა გაიარა, მცხოვრებლები დიდის სიხარულითა და პურ მარილით ხვდებოდა მას; ყველგან იმართებოდა მიტინგები და ხალხი ლოცულობდა [illegible]-ავანტიურისტებისაგან განთავისუფლებისათვის, რომლებიც უსისინებენ ერს-ერზე, აწყობენ ხოცვა-ჟლეტას და შემდეგ გადააბრალებენ სხვებს.

„მე უნდა განვაცხადო გულახდილათ, რომ ქართველი ჯარები მუსულმანების წინააღმდეგ არა დროს არ გამოსულან, ხოლო გასულ წელს მოქმედებდენ ბანდების წინააღმდეგ, რომლებიც ახალციხეს ესხმოდენ თავს ისეთივე ავანტიურისტების ხელმძღვანელობით, როგორიც არის, ალბათ, წერილის ავტორიც, რომელიც [illegible] ულაპარაკობს.

„უკვე გვიანაა! არდაგანის, შავშეთის, არდანუჯისა და აჭარის ყველა გლეხებმა უკვე გადადევნეს ასეთი ავანტიურისტები და პროვოკაცია მომავალში ვეღარ გაიმარჯვებს, ვინაიდან აღნიშნულ რაიონებში მუშაობენ ნამდვილი დემოკრატები ხალხის საკეთილდღეოთ.

„ტყუილათ ცდილობს უცნობი ავტორი გამაშაოს მე პრესაში.

„მე სარწმუნოებით, ალბათ, არა ნაკლები მუსულმანი ვარ, ვიდრე თვითონ ავტორი; ეროვნულათ კი მე ქართველი ვარ და ვმუშაობ მხოლოდ ხალხის საკეთილდღეოთ.

„თუ კი ასეთი პროვოკაცია არ გადის ამ რაიონებში,—ვარწმუნებთ, რომ ეს ჩემი ბრალი არ არის: ხალხი დაიღალა და მოიწყინა მას ყოველ გვარ წაქეზების აყოლა, რისთვისაც გადაუსწყვეტია მან მოიწვიოს საქართველოს დემოკრატიული მთავრობა.

„ბევრს ვეტყოდი კიდევ, მაგრამ რადგანაც არ ვიცი ვის ვუპასუხებ,—ვიტყვი მხოლოდ: „ავტორო, მოიხადე ნიღაბი და მაშინ მოვილაპარაკებთ!"

ქართველ მუს. დივიზიონის უფროსი, პოლკოვნიკი ბალში ბეგ მაჩაბელი.

პირველი მაისისათვის.

პროფესიონალურ კავშირის სეკრეტარიატთან შესდგა ცენტრალური სამაისო კომისია, რომელსაც დაევალა მოაწყოს პირველი მაისის დღესასწაული.

ხსენებული კომისიის კრებები იქნება ყოველ დღე სეკრეტარიატის ბინაზე—მუშათა სახლებში (რუსთაველის პროსპექტზე), სადაც კომისიის პრეზიდიუმი ყოველ დღე დილის 9 საათიდან შუადღის 12 მდე იძლევა ყოველ გვარ ცნობებს

კომისია სთხოვს ყველა ამხანაგებს ადრევე შეუდგნენ საქმეს, რომ პირველი მაისის დღესასწაული ჩატარდეს სასურველად. დღესასწაულის პროგრამის, ლოზუნგების, მინაარს და სხვა საჭირო ცნობებს კომისია გამოაცხადებს ამ დღეებში.

ადგილობრივ ორგანიზაციებს და კოლექტივებს ვთხოვთ გამოგზავნონ წარმომადგენლები.

სამაისო ცენტრალური კომისია.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

16 აპრილი.

ბოლშევიკების ცნობები.

გერმანიაში.

კოპენჰაგენიდან მოსული ცნობით, ბერლინში გამოქვეყნებულია ნახევრად ოფიციალური ცნობა მაინცში მომხდარი ფრანგების თარეშის შესახებ. საფრანგეთი თითქმის აპირებს განსაკუთრებულ სახელმწიფოს შექმნას, რომელიც საფრანგეთისათვის ბუფერათ უნდა გახდეს.

ამერიკული რადიო იუწყება, რომ ბავარიის გერმანიისაგან გამოყოფის მექარე თანდათან უფრო რეალურ ფორმებს ღებულობს.

მოსკოვის სამხატვრო თეატრის გასტროლები

(15 აპრილის წარმოდგენა—„ალუბლის ბაღი" ა. ჩეხოვისა).

15-ს აპრილს სახელმწიფო თეატრში ნამდვილი დღესასწაული იყო. აურაცხელი საზოგადოება მიაწყდა თეატრს. ერთი საათის წინ წარმოდგენის დაწყებამდის, როდესაც თეატრის კარები ჯერ კიდევ დაკეტილი იყო. ყველას ერთნაირი წადილი ეხატა სახეზე, ყველა თითქოს რაღაც წმინდათმოქმედებისათვის ემზადებოდა. ეს ადვილი ასახსნელიც არის: იმ სალამოს პირველი წარმოდგენა იყო დანიშნული „მოსკოვის სამხატვრო თეატრისა", იმ თეატრისა, რომელმაც სულ ახალი ნაკადი შეიტანა სასცენო ხელოვნებაში, რომელმაც ამ დარგში ეპოქა შექმნა და რომელიც ყველა ქვეყნებში წასაბაძად გადაიქცა.

პირველ წარმოდგენისათვის მოსკოვის არტისტებმა აირჩიეს ა. ჩეხოვის „ალუბლის ბაღი". „მოსკოვის სამხატვრო თეატრს" სხვათაშორის „ჩეხოვის თეატრს" უწოდებენ: მის შექმნაში ა. ჩეხოვმა დიდი როლი ითამაშა. მისი ინდივიდუალური სახე, მისი თავისებურება, სახე პირველად ა. ჩეხოვის პიესებზე გამოიკვეთა. „ალუბლის ბაღი" სწორედ ამ თეატრისთვის არის დაწერილი; წაიკითხეთ თქვენ სრულიად ვერ მიიღებთ პიესიდან იმ შთაბეჭდილებას, რის გადმოცემაც ა. ჩეხოვს უნდოდა; ეს პიესა ჩვეულებრივად არ არის დაწერილი; ისე, როგორც კლასიკოსების პიესები იწერება; ეს უფრო ესქიზია, ვიდრე დასრულებული პიესა; წაკითხვის დროს გრძნობთ, რომ ამ სცენას მთავარი რაღაცა აკლია, აკლია სისხლ-ხორცის შესხმა, და ეს უნდა გააკეთოს სცენამ; „ალუბლის ბაღი" წააგავს ოპერის ლიბრეტტოს, რომელსაც მუსიკალური განსახიერება სჭირდება. და ეს განსახიერება ა. ჩეხოვმა მიანდო „სამხატვრო თეატრს", რომლის რეპეტიციებს თითონვე უხელმძღვანელებდა. როლები დაწერილია „სამხატვრო თეატრის" არტისტებისთვის: მებატონის რანევსკის როლი, [illegible] დაწერილია ქ—ნ კნიპერისათვის, მეკანტორე ეპიხოდოვის როლი—მოსკვინისათვის, ბებერი ლაქიის—ფირსის როლი—ან გარდაცვლილ არტისტ არტიომისათვის. პიესის დადგმის პირველ ხანებში მოსკოვში როლები სხვანაირად იყო განაწილებული, ვიდრე 15 აპრილის წარმოდგენაზე; მხოლოდ ქ—ნი კნიპერი იყო ძველს ადგილას, სხვა როლები შეცვლილია: ბ. კაჩალოვი მაშინ თამაშობდა არა გაევს, არამედ სტუდენტ ტროფიმოვს; გაევის როლს ასრულებდა სტანისლავსკი, — ეპიხოდოვისას — მოსკვინი. შედარება 15 აპრილის წარმოდგენისა „სამხატვრო თეატრის" იმ ეპოქასთან, როდესაც იგი სულ ნორჩი იყო, როდესაც ახალგაზრდულის გატაცებით და სითამამით გამოდიოდა სარბიელზე, როდესაც მას ხელმძღვანელობდა თვით ა. ჩეხოვი პირადად,—რასაკვირველია, შეუწყნარებელი იქნებოდა. რაც უნდა თავის ადგილას ყოფილიყვნენ 15 აპრილის წარმოდგენის დროს არტისტები, მაინც უნდა გვახსოვდეს, რომ ბ. თარხანოვი მოსკვინი არ არის, ბ. ბერსენევი (ტროფიმოვის როლში) არ არის კაჩალოვი, კრასნოპოლსკაია და კრიჟანოვსკაია არ არიან ლილინა და ანდრეევა.

მაგრამ „სამხატვრო თეატრის" წარმოდგენების დაფასების დროს ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ერთად ერთი თეატრია, სადაც არტისტების პიროვნებას ისე დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ეს უმთავრესად „ანსამბლის თეატრია", რომლის მთავარი მიზანია მსმენელებს აგრძნობინოს სულიერი განცდა იმ საზოგადოებრივ წრისა, რომელიც პიესაში გამოყვანილია, და იმ ეპოქისა, რაც პიესაში დახატულია. არტისტის ინდივიდუალობა, მისი როგორც სიძლიერე, ისე სისუსტე ინთქმება მთელში, ანსამბლში. თუ ამ ანსამბლმა გადასცა მაყურებლებს ის სულისკვეთება, რაც პიესაშია დახატული, თეატრი თავის მიზანს შესრულებულად სთვლის.

როგორ იყო საქმე ამ მხრივ 15 აპრილის წარმოდგენაზე? აქაც უნდა აღვნიშნოთ ის დაბრკოლებები, რომლებიც წინ ეღობება ჩვენთან სტუმრად მოსულ ტრუპპას. „სამხატვრო თეატრი" თავის მიზანს მარტო როლების ასრულებით არ აღწევს; პიესის დადგმაში იგი იშველიებს ყოველგვარ ხელოვნებებს: მხატვრობას, მუსიკას, სკულპტურას, პლასტიკასაც კი. ხელოვნების ყველა დარგების შეერთებით ახდენს იგი შთაბეჭდილებას მაყურებლებზე და იწვევს მათში სათანადო სულიერ განცდას. ასეთი შეერთება კი შესაძლებელია მხოლოდ ადგილობრივ, იქ, სადაც თეატრს ყოველნაირი მოწყობილობა აქვს, სადაც იგი ყველა საშუალებებით არის შეიარაღებული. მოსკოვში ამ თეატრს თავისი სცენა აქვს, ისე მოწყობილი, როგორც მის მიზნებისათვის არის საჭირო: დეკორაცია საგანგებოთ არის დამზადებული ყოველი პიესისთვის, ყოველ პიესისათვის მას ძლიერ რთული ტეხნიკური აპარატი აქვს მოწყობილი; იქ მათ ჰყავთ მრავალი წვრილი თანამშრომლები, თავის მოვალეობაში იდეალურად გაწვრთნილი, უნაკლოდ და მათემატიკურის სიზუსტით შემსრულებელნი. ყველა ამას ტრუპპა მოკლებულია სტუმრობაში. სხვა თეატრის სცენაზე, სხვის დეკორაციებით, სხვის ტეხნიკური აპარატით და მეტადრე სხვა ტრუპპის თანამშრომლებით „მოსკოვის თეატრი", ვერ შესძლებდა იმის მიღწევას, რისთვისაც მას ძალა შესწევს. მაყურებლების შთაბეჭდილებას, რასაკვირველია, ანელებდა, მაგალითად, ის გარემოება, რომ მესამე მოქმედების სცენაში უკანა ფარდის „დეკორაციაში" ეჩნეოდა იმის გამო, რომ ფარდასა და დეკორაციას შორის აშკარა წინააღმდეგობა იყო. ფარდა მწვანე მინდორს გვიხატავდა, ოტახი კი რუხი ფერისა იყო ადგილ ადგილ ფარდა გადაფარებული ყურადღებას იპყრობდა აგრეთვე I და IV მოქმედების დეკორაცია. პირველ მოქმედებაში მაყურებლები ფანჯრიდან ვერ ხედავდენ თეთრყვავილოვან ალუბლის ხეებით აყვავებულ ბაღს, როგორც პიესის ტექსტი მოითხოვს. პიესაში აღნიშნულია, რომ ამ სცენებში მემამულეების ბინა უნდა ჩანდეს და არა ერთი ოთახი. ამას 15 აპრილის წარმოდგენაზე ვერ ვხედავდით.

მაგრამ ყოველივე ეს სტუმრად მოსულ ტრუპპას მინუსად ვერ ჩაეთვლებათ. თუ ყველა ამ გარეგან უხერხულობას არ მივაქცევთ ყურადღებას, სხვა მხრივ 15 აპრილის წარმოდგენა უნდა ჩაითვალოს სამაგალითოთ. თფილისს არ უნახავს ამ სიმაღლეზე დაყენებული სცენიური ხელოვნება. მოსკოველებმა თფილისში მოიტანეს უმაღლესი კულტურა, ნაყოფი ხნის შემოქმედებისა. წარმოდგენას აშკარათ ატყვია ბევრი ხელმძღვანელების ყოველმხრივი განათლებისა, და ხელოვნებისადმი იმ დიდი სიყვარულისა, რომელიც მათ აიძულებს ყურადღებით მოეპყრან ყოველს წვრილმანს, ყოველს ერთის შეხედვით უმნიშვნელო მხარეს, რომ ხელოვნების შესაძლებელ სისრულეს მიაღწიონ.

და ამ შესაძლებელ სისრულეს მოსკოვის ტრუპპამ 15 აპრილის წარმოდგენაზე მიაღწია. რა უნდა ეთქვა „სამხატვრო თეატრს" „ალუბლის ბაღში"? პიესაში მაყურებელი გადაჰყავს ქრონოლოგიურად არც ისე დაშორებულ წარსულში: დახატულია ფეოდალურ წყობილების ნანგრევი, ოდესღაც მძლავრი მემამულეების მშვენივრად მოწყობილი „ბუდე". პატრონების უთავბოლობა, უსაქციურობა და მრავალ საუკუნეებით შექმნილი უმწეობა ღუპავს და ანგრევს ამ ბუდეს. ეს დანგრევა ხდება მაყურებლების თვალწინ ძველებური მეპატრონის სასახლე საყვარელი ალუბლის ბაღით, რომელიც ისე ცნობილია, რომ უკანასკნელ პატრონის სიტყვით „ენციკლოპედიური ლექსიკონშიაც კია მოხსენებული", საჯარო ვაჭრობით იყიდება; ყიდულობს მას ამავე აგარაკის გლეხის შვილი, რომლის მამაც ამ მემამულეების ყმა იყო; მყიდველს ბავშვობისას ამ სასახლეში ფეხშიშველა ურბენია, მაგრამ იგი დღეს იმდენათ გამდიდრებულა, რომ თავის ბატონების მამულს ყიდულობს, საუცხოვო ალუბლის ხეებს ცულით ჰკაფავს, მთელს ბაღს ცალკე ნაჭრებათ სჭრის, იჯარით გაცემას ფიქრობს და ამ გზით დიდი გამორჩენის იმედი აქვს. ა. ჩეხოვი პიესაში სრულებით არ ჰკიცხავს და არ ამართლებს დრომოჭმულ წყობილების წარმომადგენლებს. არც ერთი პიესაში მოქმედი პირი არ არის საზიზღარი ან საძულველი ტიპი. პირიქით, როგორც ადამიანები ისინი ყველანი კეთილები, პატიოსნები, სიმპატიური, სიყვარულის და სიბრალულის აღმძვრელი ხალხია. ის, რაც მათ თავს ატყდებათ, მათი უბედურებაა და არა მათი დანაშაული. ტრადიციულად შექმნილი, მამაპაპათაგან სამკვიდროთ შენახული, სისხლში და ხორცში გამჯდარი უსაქციურობა—აი მათი უბედურების წყარო. ის უნიჭობა, უუნარობა, ცხოვრებასთან ბრძოლის ყოველივე უნარის დაკარგვა, ნების ყოფის სრული ატროფია—აი რა ნაყოფი მოიტანა ფეოდალურმა წყობილებამ თვით მემამულეთა წრეებს. თითონ განძრევა და ტვინის გაჭყლეტაც არ შეუძლიათ გადაშენების გზაზე დამდგარ წრეების ეპიგონებს. ახალი საზოგადოების წარმომადგენელი—მუშაობაში გამოწრთობილი და გამდიდრებული გლეხის შვილი სულ უბრალო რამეს ურჩევს: გაყიდეთ ეს ბაღი, დასჭერით ნაჭრებათ, გაეცით იჯარით და არა თუ გადაარჩენთ თქვენს „ბუდეს", კიდევაც გამდიდრდებით. მაგრამ მისი პრაქტიკული სიტყვები ისე ხვდება მემამულეებს, როგორც ცერცვი კედელს. და ბოლოს „ბუდე" მაინც იღუპება, სწორედ ამ გლეხის შვილის ხელში გადადის, ალუბლის ბაღი იკაფება. მაყურებელთა თვალწინ ხდება ყველაფერი ეს. უკანასკნელ სცენაში მაყურებლებს ესმის ალუბლის ხეების კაფვის ხმა, მაყურებელი გრძნობს, როგორის სიმწარით უნდა ხვდებოდეს საცოდავ პატრონების გულს ცულის ყოველი დარტყმა. ამ წრეში ისეთი სული ტრიალებს, რომ ყოველი ადამიანი, რომელიც იქ მოხვდება, სრულიად ჰკარგავს ყოველსავე ნებისყოფას, ფრაზების და უაზრო, უმიზნო უბრალობის მეტს ვერაფერს ვერ გაიგონებთ მის პირიდან;—თვით მემამულეებით დაწყებული უკანასკნელ მოახლით გათავებული დაღუპულია ამ სახლში შემოსულით: უსაქციურობა, უმწეობა, უბედობა შავი ჭირივით ედება ამ ოჯახის ყოველს წევრს.

ამნაირი „მებატონეთა ბუდის" დანგრევა და ამ დანგრევით შექმნილი ის სულიერი განწყობილება, რისაც განიც-

ხაზგა მოლაპარაკება ფინეთთან.

ბელოოსტროვი, აპრ. 13. ფინეთთან ერთობით ზავის შესაკვრელად დანიშნული კომისია პეტროზავოდის შრომის ართელის სამ. რეგ. სახ-ის წევრი ამხ. ლაშევიჩის თავმჯდომარეობით 12 აპრილს შეუდგა მუშაობას რაიაიოკში, რომელიც სადგ. ბელოოსტროვის პირდაპირ იმყოფება. ფინეთის კომისიასთან მოხდება პირველ შეერთებულ სხდომაზე განხილული იყო საკითხები კომისიის მუშაობის ორგანიზაციის შესახებ.

ორივე მხარის დელეგატთა რწმუნებულებანი ნამდვილად იცნეს. 13 აპრილის სხდომაზე საუბრით უნდა წაკითხულიყო რუსეთისა და ფინეთის პირობები.

სომეხი ლტოლვილების შესახებ.

სომხეთის რესპუბლიკის წითელი ჯარის სამხედროთა საბჭოს მოსკოვში სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლენინს ხელი შეაწყოს და დაეხმაროს ჩრდილოეთ კავკასიას, თურქესტანსა და სხვა ადგილებს სომეხ ლტოლვილების მათ ევაკუაციასა და სამშობლოსაკენ გამგზავრებაში.

ბალშევიკების ცნობა აზერბაიჯანის შესახებ.

აზერბაიჯანის მთავრობამ უარი განაცხადა გადაეცა ბოლშევიკებისათვის ნავთი ფულით და ხალით ფასით.

ფრანგული ცნობები.

სან-რემოში.

მილიერანი პარიზიდან პარასკევს საღამოს სან-რემოში გაემგზავრება, ფოშთან ერთად იქ არა მარტო ოსმალეთის ზავიშეკრულობის სამხედრო საქმეებს განიხილავენ, არამედ განიხილავენ ზომებს გერმანიის განიარაღების უზრუნველსაყოფად.

ოსმალეთის საზავო დელეგაცია.

ოსმალეთის საზავო დელეგაცია აპრილის ბოლოს, ან მაისის პირველ რიცხვებში პარიზში მოელიან.

სან-რემოს კონფერენცია.

გაზ. „ტანი“-ს მიღებულ ცნობების თანახმად სან-რემოში კონფერენციის თავმჯდომარე იქნება იტალიის პრემიერი ნიტტი, რომელსაც თან ახლავს ლ-უზიტტი და გენერალი ბადოლიო. საგარეო საქმეთა მინისტრს [illegible] სან-რემოში კვირას მოელიან. ბონარ ლოუ და უილსონი კვირა საღამოს ლოიდ ჯორჯს შეუერთდებიან. მილიერანი, მარშალი ფოში და საფრანგეთის მისიის სხვა წევრები შაბათს მივლენ.

ახალი ამბები

აზერბაიჯანის სომხეთის და საქართველოს რესპუბლიკათა კონფერენციის დადგენილებით ყაზახის მაზრაში გაიგზავნა დელეგაცია კონფერენციის წევრების, გასან-ბეგ-ბეგუცის, ს. გრ. მამიკონიანისა და გ. თ. მახარაძისაგან შემდგარი, სომეხთა და თათართა შორის სისხლის ღვრის შესაწყვეტად (ს. დ. ს.).

◆ **ქალაქის გამგეობის სასურსათო** განყოფილებას დამზადებული აქვს დიდი ძალი წვნიანი კომბოსტოს მწნილი, რომელიც იყიდება ქალაქის სასურსათო დუქნებში გირვანქა 2 მანეთად.

◆ **ხალხმა მთავრობის თავმჯდომარეს:** ქუთაისიდან: ყუბანიდან გამოქცეული ქართველები ულოცავენ მთავრობის თავმჯდომარეს ქრისტეს აღდგომის დღესასწაულს, უსურვებენ საუკეთესო სურვილების განხორციელებას და მადლობას უძღვნიან მას თბილისში მიღებისათვის.

◆ **არდაგანიდან დაბრუნებულნი** შავშეთიდან და არტანუჯიდან ვიწრონი გადმოგცემთ წრფელ სალამს სამშობლოს მაღლობის საქართველოს უძველეს ნაწილისას, რომელიც აღორძინებულია ქართველი ჯარის იქ ყოფნით. მადლობა მათ, გილოცავთ თქვენ და ქართველ ხალხს ბრწყინვალე დღესასწაულ აღდგომას. ამერეჯიბი.

◆ **თფ. ქალაქის საერთო საავადმყოფო კასის რწმუნებულთა საზოგადო კრება.** კვირას, 25 აპრილს, დილის 10 ს., მუშათა კლუბში (პლეხანოვის პროსპექტი 123), დანიშნულია თფილისის ქალაქის საერთო საავადმყოფო კასის რწმუნებულთა საზოგადო კრება. განსახილველია შემდეგი კითხვები: 1) კასის 1919 წლის ანგარიში; 2) მოხსენება შრომის კომისარის მიერ დანიშნული სარევიზიო კომისიისა; 3) სამი თვის ანგარიში; 4) შეცვლა კანონის ზოგიერთ მუხლებისა; 5) სიკვდილის დახმარება კასის წევრთა ოჯახობაზე; 6) ავათმყოფთა უქმე დღეებში დახმარება; 7) კასის წევრთათვის სანატორიუმის გახსნა; 8) მიმდინარე კითხვები.

— შავშეთში და ერუშეთში მყოფი ჯარების ოფიცრები და ჯარისკაცები მოგილოცავთ დღესასწაულს. გისურვებთ დღეგრძელობით მრავალს ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ. პოლკოვნიკი ვაჩნაძე.

ქალაქთა კავშირმა შეისყიდა მთავრობისაგან ქალაქთა თვითმმართველობებისათვის 60 ცხენი. ფასი ამ დღეებში იქნება დადგენილი, დაახლოვებით-კი თითო ცხენი ღირება 10,000 მან. ქალაქებმა, რომელთაც სურთ ცხენების შეძენა, უნდა მიმართონ კავშირს რაც შეიძლება მალე ხანში.

◆ **ნაფიც ახალ მსაჯულთა არჩევა.** დღეს 12 ს. საშ. სასამართლოში მოხდება მორიგი საჯარო არჩევნები სახელდობრ ნაფიც მსაჯულთა მომავალ სესიისათვის 2—16 მაისამდე.

◆ **სახელმწიფო თეატრი.** დღეს ოპერა მუშებისათვის, კურბატოვის საბენეფისოდ — „ტოსკა“; მონაწილეობენ ზალიპსკი, პოლიევი და სხვ.

◆ **გორის ფონდის სასარგებლოთ** კანცელარიამ მიიღო არტანის ოლქის კომისრის მიერ შეგროვილი ადმინისტრაციის მოხელეთა შორის და ჯილდებ ხიმშიაშვილი 1000 მ., ისმაილ-აღა ფუჯრიტაშვილი 1000 მ., რიზა მელიტაულის 1000 მ. სულ 12,500 მან.

კრებები.

— კვირას, 18 აპრილს, ავჭალის აუდიტორიაში დილით 10 საათზე კოოპერატივი „შრომის“ გამგეობა იწვევს წლიურ საზოგადო კრებას.

— დღეს საღამოს 6 ს. ს. დ. ქალთა კომიტეტი იწვევს ყველა რაიონულ კოლექტივების კრებას, მეორე რაიონის კოლექტივის ბინაზე.

— კვირას, 18 აპრილს, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს დარბაზში შესდგება მეპურეთა სექციის საერთო კრება. მუშა-მეპურეთა დასწრება აუცილებელია.

დის გადამწყვეტი დამღუპველი წლებით,— აი რა უნდა ეცნო ა. ჩეხოვს თავის პიესით. მაყურებელს უნდა ეგრძნო, რამდენად დამღუპველი და სულიერ-ხორციელად გამანადგურებელი იყო ფილისტერ ნიადაგზე შექმნილი ზნეწყობილება როგორც თვით ამბიციონიზმულ კლასისთვის, ისე დამონებულებისთვის, როგორც ბატონებისათვის, ისე ყმებისათვის. მაყურებელი უნდა ჩასწვდომოდა იმ ტანჯვას, რომელსაც უნდა განიცდიდნენ თავისდა უნებურად, ფილისტერულად ამ წესწყობილების მსხვერპლნი. რადგან შედის წრე, გამოფიტული, უუნარო და გარეცხილი ძალის სახით უნდა მოეჩვენებინათ ცხოვრება ამ სცენადან, სხვის დანაშაულობისათვის დაისჯელ ხდის. მაყურებელს კიდევ ის უნდა ეგრძნო, რომ მის წინაშე მომაკვდავი წესებისაგან მძლავრი სპეტაკი აღარ არის, იგი უკვე გათავებულია, ეს წესები უკვე ძლეულია, მის მეურნეობა თავდაცვის უნარიც აღარ შესწევთ,— მიუხედავად მათზე გაბრაზებით, ყურადღებას მათ წინააღმდეგ, მათ სიძულვილით გამოწვეულ დაცინვას, სარკაზმს მაყურებლის გულში ადგილი არ უნდა ჰქონოდა. ავტორის განზრახვა, პირიქით, ის არის, რომ მაყურებელში გამოიწვიოს გრძნობანი საბრალოდ მომაკვდავისადმი და მომაკვდავს შეუმსუბუქოს სასიკვდილო ტკივილები.

15 აპრილის წარმოდგენამ ავტორის ეს განზრახვა განახორციელა. ქართველურად კარგი დიდი მანძილი ვართ ჩვენ დაშორებულნი იმ ხანას, როდესაც „მამამთავრის ბაღების“ დანგრევა ხდებოდა. გეოგრაფიულად ძლიერ შორს ვართ იმ ადგილებიდან, რომელიც ა. ჩეხოვის პიესაშია დახატული. ჩვენთვის, რუსულ ლიტერატურ მუშაობაში ხალხისთვის, უცხოა სულიერი განცდა იმ ხალხისა, რომელიც პიესაშია გამოყვანილი. მიუხედავად ამისა „სამხატვრო თეატრის“ ხელოვნებმა სამი საათით მოგვაცილეს ყოველივე ქართული, გადაგვიყვანეს სხვა მხარეს, ჩვენს ხალხის სხვა საზოგადოების გულში, განგვაცდევინეს და ჩვენ შეგვიგრძნობინეს მისი ტანჯვა და უბედურება.

„სამხატვრო თეატრის“ წარმომადგენლის დასახელება უკვე ლით არ მოითხოვს, რომ ცალკე შემსრულებლების თამაში იყოს მოხსენებული. რასაკვირველია, შემსრულებელთა შორის ერთბაშად გამოირჩეოდნენ ისეთი პირველ ხარისხოვანი არტისტები, როგორიც არიან ბ. კაჩალოვი და ბ. კნიპერი. მათ შორის მაყურებლის ყურადღება არ შეიძლება არ შეჩერებულიყო იგივე ძლიერ არტისტზე, როგორიც ბ. მასსალიტინოვია. მაგრამ საზოგადოთ ყოველი არტისტი თავის ადგილზე იყო, როგორც დიდის, ისე მცირე როლის შემსრულებლები ერთნაირი ერთგულობით სიყვარული, ერთნაირი თავგანწირვით ხელოვნებისადმი.

ჩვენი საზოგადოებისათვის, ჩვენი ხელოვნებისათვის მოსკოველ სტუმრების მოსვლა ნამდვილი დღესასწაულია. ჩვენი სცენის მოღვაწეებისათვის მათი მოსვლა, გარდა დღესასწაულისა, უნდა გადაიქცეს სხვა საკუთარი წყაროდაც: იმ დროს, როდესაც ჩვენი სცენა დაწვრილებულია და როდესაც ჩვენი საზოგადოება მის აღდგენისთვის იღწვის, მოსკოვის თეატრის წარმომადგენლები გადიქცევიან ზოგ მაჩვენებელ ნიმუშად ჩვენი სცენიური ხელოვნებისათვის. ყოველი წარმოდგენა, ამ წარმოდგენების ყოველი წვრილმანი ჩვენი სცენის ყურადღების ღირსია, მოსკოველ სტუმრების მიერ დადგმული ყოველი პიესა საფუძვლიანად გასაგებელია ჩვენი სცენიური ხელოვნების მუშაკთათვის.

ლ. ნ—ძე.

გერმანიის სოფლებში

(დაკვირვებანი)

ამ ჩემს პატარა წერილში მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო გერმანული სოფლების მოკლე გეოგრაფიულ და თვით სოფლელთა ცხოვრების აღწერას.

დღეს ჩვენდამი ომის მიერ შექმნილმა ახალი პირობებმა შეიძლება მისცეს საქართველოს დემოკრატიას დაუახლოვდეს ევროპის დემოკრატიას და მასთან მჭიდრო კავშირი დაიჭიროს.

ერთის მხრივ ქართველ ჯარისკაცთა გადასვლამ ევროპაში და ხანგრძლივ ტყვეთ ყოფნის შემდეგ, კვლავ სამშობლოში დაბრუნებამ, დიდი ნაყოფი უნდა მოუტანოს ჩვენს ცხოვრებას. მეორეს მხრით, დასავლეთ ევროპასთან ახლად გაბმულმა კავშირმა ჩვენს მომავალ საქმიანობაში საგრძნობელი ცვლილებანი უნდა შეიტანოს.

ამიერიდან დაწყებული უნდა იქნას ჩვენში აზრიანი მაინც ზნე-ჩვეულება და მომავალში ევროპის მეურნეებს და გლეხების გამოცდილებით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

გერმანიის სახელმწიფო გეოგრაფიულად სწორი და ვაკე ქვეყანაა, გარდა ორი პროვინციისა. სოფლები სწორად გაშენებულია ქუჩურ პლანზე, სახელმწიფოში არსებული კანონის თანახმად. არც ერთს მცხოვრებს არა აქვს, არავითარი უფლება, ეს კანონი დაარღვიოს და სადაც მოესურვება იქ გააშენოს სახლი, როგორც ეს ჩვენშია შემოღებული. სოფელს გარეგნული შეხედულება ისეთივე აქვს, რაც ქალაქს. ეს ერთის მხრივ სახელმწიფოს დიდათ უწყობს სოფლის კულტურულად და ეკონომიურად მოწყობას. და აი სწორედ ამისათვის არის გერმანელები ცდილობენ სამოსახლო ადგილებს, სადაც უნდა მოითავსონ არა ერთი და ორი მოსახლე, არამედ რამოდენიმე ასეული კომლისაგან შემდგარი სოფელი, გაუყოფლად რომელიმე მდინარის ან ტბის პირად. ზაფხულობით ამ წყლით დიდათ სარგებლობენ მაგ., საქონლის მოშენებაში დიდათ უწყობს ხელს, ჰბერენ ოტუზებს, ამრავლებენ ფრინველებს და ბატებს, ნამუშევარი ცხენების საღამოსოთ ტანს ბანენ და სხვა ბევრი ასეთებისათვის იყენებენ.

სოფლის მდებარეობა: სწორი ვაკეზე მწკრივში აქეთ იქეთ ჩამწკრივებული, ქვისა და აგურის კრამიტით გადახურული სახლები. შუა სოფელში ფართე ქუჩა, მშვენიერი ქვა ფენილი და მოკირწყლული გზები, რომლიც მიდის ერთი სოფლიდან მეორე სოფლამდე. ყოველ ჯვარედინა გზაზე არის ხის ბოძი დასმული, ამ ბოძზე არის მიკრული გრძელი „ფიცარი“ ან ფუცი, რომ ეწოდება „რუქა“, რომელზედაც არის დაწერილი პირველი მახლობელ სოფლების სახელები, რამდენი კილომეტრია აქა, თუ იმ სოფლამდე. ასე წარმოიდგინეთ, უბრალო წერაკითხვის მცოდნე კაცსაც შეუძლია მთელი სახელმწიფოს ფეხით მოიაროს გზის დაუკითხავად.

მახლობელ ცენტრალურ სადგურიდან გაყვანილია: ტელეგრაფი, ტელეფონი და ელექტრონი, რითაც სარგებლობს ყოველი სოფელი. ელექტრონით ანათებენ ბინებს და გარდა ამისა მის ენერგიით ამუშავებენ სოფლები პურის, ქერის და სხვა პურის ხელის მანქანებს. ამასთანავე ელექტრონის ენერგიის საშუალებით ამუშავებენ სარეცხს და სხვა.

იშვიათია ისეთი სოფელი, რომელსაც არ უვლიდეს 3—5 კილომეტრის მანძილზე რკინის გზა. თუ სოფელი უფრო მოშორებითაა, აქ უეჭველში დაგებულია ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა, რომელზედაც დადიან პატარა ორთქლმავლიანი და ზოგან კი „მოტორიანი“ მატარებლები.

სოფლის შარა-გზების მიმოსვლა დაცულია კანონის თანახმად მაგ., არ შეუძლია მეეტლეს, სოფელს გზის გაფუჭება. [illegible] აღსანიშნავია ერთი რამ: ყანაში მიმავალ მუშას არ შეუძლია ცელი მხარზე გადადებული გაატაროს, თუ ის თავის ბუდეში არ არის რიგიანათ შეკრული. არც მიწის სამუშაო მანქანას ატარებენ, თუ კი ის ბორბლებ გზა-ტეხილს. ასეთს უსათუოდ ეტლით ან „ფურგონით“ მიაქვთ. ამ კანონს ყოველი გერმანელი პირნათლად ასრულებს. აქ ჩვენში მერიქიფე ჩვეულებრივ მოვლენაა, ყანაზე მიმავალი ჩვენი კაცი მხარზე ნაჯახ ან თოხი გადაკიდებული, ხან ერთი ხეს წყვეტს, ხან მეორეს, თუ კი გზის პირად ლამაზი ხეები ძევს. რაც შეეხება ეტლებს და ურმებს, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. სოფლებში კი არა ჩვენი დედაქალაქ თბილისშიაც არ არის ისეთი ქუჩა, რომ ერთი, ან ორი ბაგეს ეტლი არ დაეჯახოს.

შუა სოფელშივე არის გაშენებული ლამაზი ორი ან სამი სართულიანი კარგა მოზრდილი სახლი, რომელიც მოთავსებულია სოფლის სასწავლებლის, მის გვერდითვე ამშვენებს პატარა ბაღი. აქვე მახლობლად ლუტერანების ეკლესია (ნემეცები არიან კათოლიკები და „ევანგელისტები“). სოფლის თავზე ან შუა გულ სოფელშივე არის, სასაფლაო, რომლის მშვენიერებასაც, ვერ წარმოიდგენს, არამც თუ ჩვენი კაცი, არამედ რუსეთის დიდრონ ქალაქების მცხოვრებლებიც: ძვირფასი ლოდები და ფერად-ფერადი ძეგლები— მიცვალებულის სურათით. აგრეთვე ზაფხულობით, სასაფლაო მორთულია, თითქოს სავსეა ყვავილით ქოთნებში თასნაირი ფერად-ფერადი სურნელოვანი ყვავილებით. ზაფხულის სიცხის დღეებში, ეს ყვავილები ირწყვება დაზამთრობით კი შინ მიაქვთ.

აქვე უნდა აღინიშნოს მიცვალებულის გასვენებაც. მიცვალებულის გარდაცვალების მეორე ან მესამე დღეს ნაშუადღევს ორი საათიდან დანიშნული კაცი დაატარებს პატარა „ზარს“ და ჩვეულებისამებრ მთელი სოფლის ქალი და კაცი მოიყრის თავს, მიცვალებულის ბინაზე. ამ დროსვე გამოჩნდება შავად შემოსილი ბარაბანი, წყვილი ცხენებით და 6—10 კაცისაგან შემდგარი ორკესტრი, რომელიც უკრავს სამგლოვიარო ჰიმნს. ეს ამიტომ, ხალხი ჩაცმულია შავ ტანისამოსში. მამაკაცებს კი ამისათვის აქვთ მაღალი ქუდები. ამ უკანასკნელს ხმარობენ ქორწილშიაც. აქ არც ტირილია და არც ქელეხი. მხოლოდ გაზეთებში გამოაცხადებენ, მიცვალებულის სახელს და გვარს და გასვენების [illegible] ჩვენში კი მიცვალებულთა ქელეხებს უმართავენ და ტყუილუბრალოდ სარჩო საბადებელს ფლანგავენ.

ამ ჩვეულებას ჩვენში, სახელმწიფოსა და კიდევ ოჯახისათვის აუარებელი ზარალი მოაქვს და მეც ამიტომ გავაგრძელე საუბარი. დროა ამას ახლად დაარსებულ სოფლის წვრილ ერთეულებმა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება და მოისპობოდეს იქნას ძველი მავნე ჩვეულება, რომელსაც აუარებელი ქონება ეწირება. სჯობია ამ საფასურის გუთნები და სხვადასხვა მიწის სამუშაო იარაღები შევიძინოთ და მათივე საშუალებით წინ წავწიოთ ჩვენი ცხოვრება.

გერმანია, განთქმული ქვეყანაა ვაჭრობა მრეწველობით, სოფლის ახლოს გაშენებულია არის რამოდენიმე სხვადასხვა ქარხნები და ქარის წისქვილები (გერმანიაში სოფლად შემოღებულია უფრო მეტი ქარის წისქვილები).

სოფელშივე უსათუოდ შეხვდებით, სათეატრო სახლს, ორი ან სამ სასტუმროს, რესტორანს, რამოდენიმე ქარხნის და საზოგადო საბჭეროებს, სადაც ყოველს შეუძლიან დღეობ ქალაქებში არსებულ ფასებზე, შეიძინოს ყოველ გვარი ცხოვრებისათვის საჭირო საგნები.

ყოველ სოფელში არის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, საიდანაც მცხოვრებნი დღეში ორჯერ მოსდით, ყოველ გვარი კორესპონდენციები და ჟურნალ-გაზეთები. გაზეთის გამოწერა გერმანიაში სავალდებულოა ყველა მოქალაქისათვის. არ არის ისეთი გლეხი, მუშა, მეცხვარე ან დარაჯის მწყემსი, გაზეთი არ მოსდიოდეს. 1914—15 წლებში გაზეთი ღირდა 3 მარკა დაახლოებით მანეთ ნახევარი, რევოლუციის შემდეგ კი 7 მარკა. ყოველ სახლის წინ აქვს, სახლის ნომერი და ქუჩის კარზე მიკრული პატარა ყუთი, რომელიც ფოსტალიონს უადვილებს თავის სამსახურს ყოველ გვარი კორესპონდენციების დარიგებაში, გარდა დეპეშებისა.

საუცხოოდ იცვამენ გერმანელები პიჯაკს, ჰერის და ყოველდღიური საჭმელების გამოსახვევად ხმარობენ ნაბეჭდ გაზეთებს. არ მქონია ერთხელაც შემთხვევა მეცია ხუთი წლის განმავლობაში დამენახოს ლია კალათით ან გამოუხვეველი სურსათ-სანოვაგე მიჰქონდეს, რომელიმე გერმანელს. თქვენ წარმოიდგინეთ ზოგიერთ სოფლებში, საფურთხებიც ემალისაგან გაკეთებულ ბუდეებს შეხვდებით. აგრეთვე მთელი რეინის ნაპირათ, ყოველ 3—5 საჟენზე ნახავთ ასეთ საფურთხებს. ქალაქებზე ზედმეტია ამაზე ლაპარაკი.

მოსავლობის დროს გერმანელებს თქვენ ვერ შეხვდებით ფეხშიშველებს, რადგანაც ეს ეტიკეტისაგან აკრძალულია. ომიანობის დროს კი ამ 20 წლებში აღკვეთილი, განსაკუთრებით ხეოვანის ბავშვებისათვის ფეხზე ჩაცმა (ეს იტყობა ტყავის ხელებისაგან იყო გამოწვეული).

ყოფ. სამხ. ტყვე ერასტი კაპანაძე.

(შემდეგი იქნება)

მოხსენება მთავრობის თავმჯდომარეს

დაუვიწყარია ის შველა, რომელიც პირველ დღეებში მოგვცეს მიწის ძვრით დანგრეულ გორს თბილისიდან, მთავრობისა და საზოგადოებისაგან. დიდი იყო საერთო თანაგრძნობა. მთელმა საქართველომ უმალ იგრძნო ღვთა ქართლის ხასტკა უბედურება, ყველასათვის გასამხნევებლად გაისმა მტკიცე სიტყვა მთავრობის თავმჯდომარისა: „გორი უნდა აღსდგეს“, სწრაფათ მოვიდა დასარიგებელი პური, თბილი ტანისამოსი, მიეშველნენ გორს სანიტარული და საინჟინრო რაზმები, ამას მოჰყვა პირველი ფულის ნაწილი, დროებით თავშესაფრების აშენება. ყოველის მხრიდან და საზღვარ გარეთიდანაც მოდიოდა ამბები თანაგრძნობისა და უხვი შემოწირულებისა.

შეშინებულმა, შეწუხებულმა, ყინვაში ცის ამარა დარჩენილმა ხალხმა დაინახა პირველი შველა, გაიგონა სანუგეშო სიტყვა, გამხნევდა. გაჩნდა იმედი აღდგენისა, ცხოვრებისა და შრომის განახლებისა. ერობა, გვარდია, ქალაქის თვითმმართველობა, ხაზინა, ადმინისტრაცია, ფოსტა-ტელეგრაფი და თითქმის ყველა დაწესებულება დარჩა და მოქმედებს გორში; ბინა არავის ჰქონდა, მაგრამ თავისი ნებით წასვლა აქედან, სამარცხვინო გაქცევად, დეზერტირობათ იყო მიჩნეული საერთო აზრით. თვით გორელებში დიდია სურვილი აქ დარჩენისა, ყველა ნატრულობს გორის აღდგენას, ათასობით ხალხი დასტრიალებს თავის ნანგრევებს, ბევრი ბინადრობს მის ახლო კარვებში და ქოხებში, ზოგი ცდილობს შიგ ნანგრევებში შესვლას და ცხოვრებას და, ვგონებთ, არავინ მოშორებია თავის ქალაქს სამუდამოდ. პირიქით, არსებობს ძლიერი კავშირი ადგილობრივ სახლის პატრონთა, აგრეთვე 600 დე უმცროსი გორელი [illegible] კავშირი და იცნენ დიდ სურვილს აქ ბინადრობისა და შრომისას. ყველა ელის მხოლოდ იმ საერთო ზომებს, რომელთაც უნდა შექმნან მტკიცე ნიადაგი აქ მოსახლეობისათვის.

სამწუხაროთ, რაც დრო მიდის, მდგომარეობა გორში ძნელდება. საშინელი შედეგები ამ სტიქიურ უბედურებისა იჩენენ თავს მთელის რეალური ძალით და შეურიგებლობით. შველა კი მეტად მცირეა, უმნიშვნელოა საჭიროებასთან შედარებით. რა თქმა უნდა, მთავრობას არ შეეძლო ხანგრძლივი კვება ამოდენა ხალხისა, დარიგება სურსათისა შეწყდა. მოწყალებული რამოდენიმე ვაგონი ბრინჯისა სრულიად შეუჩერებლად [illegible] ქალაქისა და სოფლის უნაკლო გაჭირვებაში. მიწის ძვრა აქამომდე გრძელდება, გეოლოგიური კომისია არ იძლევა ჯერ საბოლოო დასკვნას. ხალხში არსებობს საშინელი ეჭვი და მოლოდინი რაღაც უნახავ ჯერ ჯერობით კატასტროფისა, საერთო დაღუპვისა. გვრანდება ადმინისტრაციის დაწყობა, იხრება ახალი დაგეგმვა გორისა, დანგრეულ სოფლებისა, რაც დამოკიდებულია სხვათა შორის იმავე გეოლოგიური გამოკვლევისაგან: საჭიროა ჯერ ჩვენება საიმედო ადგილისა მთელ ქალაქისათვის და აღნიშნულ საზღვრებში დაიწყება მხოლოდ დაგეგმვა და შენება ქალაქისა. ამის გამო ისინიც, ვისაც აქვს აქ მამული და მზათ არის თავის სახსრით აიშენონ სახლკარი, ვერ შესდგომია საქმეს: არავინ იცის ჯერ სად მოუხდება ბინადრობა, სად გავა ქუჩები და აშენდება სახლები.

დრო გადის, და ხალხს იმედი უცრუვდება, უბინაობა და ტანჯვა მართლაც აუტანელია უმრავლესობამ უკვე გაზიდა ქალაქ-ქალაქიდან თავისი ბარგი, რის გადარჩენაც შეიძლო თვით იმ დაწესებულებებში, რომელთა მუშაკნი გმირულად დარჩენენ ამ საშინელ გამოცდას და გამაგრდნენ აქ, ეხლა ემჩნევა ყველას დაღლილობა და მობეზრება: უბინაობის გამო მსახურთ უმეტესობა აქ ცხოვრება უცოლშვილოთ, ორი ოჯახით მოსდით ხარჯი; თვით კარვებში და ქოხებში ვიწროობაა და სიბინძურე, იქნება ნიადაგი სენისა და სხვა. მოდის ხანი ზოგი ვეღარ უძლებს ამ პირობებს, სხვადასხვა მიზეზებით შორდებიან უბედურ ადგილს. ასე კლებულობს, თანდათან ილევა სულიერი და ფიზიკური ძალა გორში მცხოვრებლებისა და მსახურებისა. ეხლა კიდევ იწყება გაზაფხულის წვიმები, საკანცელარიო მეცადინეობა ქოხებში ძნელდება, ქაღალდი და დოკუმენტები სველდება, ფუჭდება. დაწესებულებანი ვეღარ ასრულებენ თავის დანიშნულებას, შველა კი აღარსაიდან ჩანს; იბადება ეჭვი, რომ დანგრეული გორი უკვე მივიწყებულია ყველასაგან. სიმწრით, მაგრამ სიმართლით „ილია ზიმბები“, ეხლა ალერ კარ. ცხადია, რომ განვლილ უკვე პირველ დამწვრების ხანამ. საჭიროა დაუყონებლივ დაიწყოს უფრო მტკიცე და მოსაზრებული, გამოდგომებული და გეგმით ძლიერი და სისტემატიური თანამშრომლობა მთავრობისა და ხალხისა გორის აღსადგენად, თორემ უკანასკნელი საზოგადოებრივი ძალები, რაც დარჩენილა აქ, დაიშლებიან, დაიქსაქსებიან და საეჭვო ხდება უკვე ყოველთათვის თვით იდეა გორის აღდგენისა. საჭიროა ადგილობრივი დიდი ძალა უფლება და ვრცელი მუშაობა მოსამზადებლად და განსახორციელებლად იმ რთულ და მრავალგვარი ფინანსიური, საინჟინრო და ადმინისტრაციული ზომებისა, რომელნიც შეადგენენ ამ დიდ საქმეს. არა თქმა უნდა, საჭიროა საერთო წარმართველი ორგანოც, [illegible] თბილისში არსებულ დამხმარე კომიტეტს არა აქვს საკმარისი კავშირი ადგილობრივ ძალებთან და დაწესებულებებთან, ხოლო თვით გორში აქამომდე არსებულ დამხმარე კომიტეტს არ ჰქონდა არავითარი სახსარი ამისთანა დიდ საქმის გასაძღოლად.

მთელმა დახმარებამ, რაც მიიღო აქამომდე გორისათვის, ვერ დააკმაყოფილა ერთი მესამედიც მინიმალური მოთხოვნილებისა. ეს იყო მხოლოდ წვეთი ზღვაში, ამგვარ დახმარებას ჰქონდა მხოლოდ დროებითი, საქველმოქმედო მნიშვნელობა და ეხლა კი აღარ სჩანს დანგრეულ გორისათვის არავითარი რეალური შველა, იგი ნამდვილად უპატრონოთ არის დარჩენილი: აქ არსებული კომიტეტი არ იყო მთავრობის მიერ დამტკიცებული და ბოლოს სრულებითაც შეწყვიტა ფაქტიურათ თავისი არსებობა.

გორის დელეგაციის აზრით, უნდა დაარსდეს ვრცელი უფლებით აღჭურვილი გორის აღმდგენი კომიტეტი, სათანადოთ დაკავშირებული, უკვე თავის შემადგენლობითაც, როგორც მთავრობასთან, ისე ადგილობრივ ძალებთან. ამ კომიტეტს გზადვე უნდა მიეცეს საკმარისი თანხა ადგილობრივ დაწესებულებათათვის მაინც. დელეგაცია ფიქრობს, რომ აღმშენებლობა უნდა დაიწყოს სწორედ საზოგადო დაწესებულებათათვის და მათი ოჯახებისათვის ბინების აგებით, რადგან სწორედ დაწესებულებათა გარშემო იკრიფება ის ხალხი, რომელსაც ძალუძს აქ გორის ეკონომიური და ადმინისტრატიული მნიშვნელობა.

დაწესებულებანი ჰქმნიან ყველასათვის საჭირო პირობებს ცხოვრებისას, იწვევენ მრავალგვარ საზოგადო საქმოსნობას, ხელს უწყობენ მიმოსვლა-მოსვლას, ვაჭრობას, სამართალს, ყოველგვარ ხელმძღვანელობას და შველას. სხვათა შორის, გორის თვითმართველობას აქვს განზრახული საზოგადო სასტუმრო, წყალსადენი [illegible], კანალიზაცია და სხვა მეზრდიური დაწესებულებანი ბევრნი ჰპოვებენ სამსახურს თვით დაწესებულებებში, ზოგნი იღებენ მოგებას ცალკე თავს, ზოგი მოიზიდავს თავის საქონელს და სხვ.— ერთი სიტყვით, დაწესებულებანი ჰქმნიან დასახლებისათვის საჭირო პირობებს, ადვილებენ თავის გარშემო ბინადრობას, ცხოვრებას და შრომას. დელეგაცია ამ საგანზეც აძლევს საერთო ანგარიშს იმ ბინებისას, რომელნიც ახლავე უნდა იყვნენ აშენებულნი თვით დაწესებულებებისათვის და მათ მსახურთათვის. ეს იქნება პირველი გეგმა, პრაქტიკული ზომა გორის აღსადგენად.

დელეგაცია ფიქრობს, რომ საჭიროა დაჩქარება საქმისა, რათა საბოლოოთ არ დაიღუპოს და არ დაიქსაქსოს უკანასკნელი საზოგადო ძალა, რაც დარჩენილა აქამომდე გორში. უბედურება და დაუვიწყარი უბედურება იქნებოდა საქართველოსთვის, რომ სანატრელი [illegible] გორის ცარიელი ნანგრევები რჩებოდეს, ჩვენი უძლურებისა და მოუვლელობის გამო.

ამრიგად დელეგაციის შუამდგომლობა მთავრობის წინაშე შემდეგია: 1) დაჩქარდეს გეოლოგიური გამოკვლევა და საბოლოო დასკვნის გამოტანა გორის ნიადაგის შესახებ. 2) დაჩქარდეს დაგეგმა გორისა და შემუშავება შენობის სახელმწიფო ტიპისა. 3) დაარსდეს ადგილობრივ სრულუფლებიანი (ქართლის) გორის აღმდგენი კომიტეტი, რომელიც შეადგენს მთავრობისა და ადგილობრივ ძალთა მთელ მუშაობას გორისა და ქართლის დანგრეულ სოფლების აღსადგენად. ამ კომიტეტში შედიოდეს ერთი წარმომადგენელი მთავრობისა, ორი სამაზრო ერობისა, ერთი გორის თვითმართველობისა, ერთი გორელ მემამულეთა კავშირი „პატრონისა“ და ერთი უმამულო გორელთა კავშირისა. 4) გახსნას ამ ახლადვე ზემოხსენებულ კომიტეტს, სახელმწიფო ხაზინიდან კრედიტი გორის დაწესებულებათა და მათ მოხელეთა ბინების ასაგებათ და საქმიანი ტექნიკური შემოსავალიც დაინიშნოს მის განკარგულებაში.

ერობის თავმჯდომარე მ. კვიმაშვილი.

საერობო ანგარიში გორის დაწესებულებათათვის და მათ მოხელეთათვის ასაშენებელ ბინებისა

(ბინა 9 კვადრატულ საჟენის სივრცით ნავარაუდევია 1 ოთახად; ყოველ მსახურზე ნაანგარიშევია ერთი ნახევარი ოთახი).

1) ქალაქის დაწესებულებანი (თვითმართველობის შენობა, საავადმყოფო, ტრანსპორტი, ორი კომისარიატი, 7 დაწყებითი სკოლა, 1 უმაღლესი დაწყებითი სკოლა, სადეზინფექციო კამერა, აბანო, საწყობები, ფურნე, საყასბო და ბინები მსახურთათვის 236 ოთახი, 2) სამაზრო ერობა 185 ოთ., 3) ხაზინა 33 ოთ., 4) ფოსტა-ტელეგრაფი 38 ოთ., 5) გადასახადთა ინსპექცია 1

და 3 რაიონისა 10 ათ., 6) სამქალაქო გამგეობა 7 ათასი.

სულ დაწესებულებათათვის 142 ათასი, მასწავლებელთა და მათ ოჯახებისთვის 267 ათასი. სულ 409 ათასი.

ერობათა ცხოვრება

გორის სამაზრო ერობის ყრილობა.

6 მარტს, დილის ორ საათზე, გორის სამაზრო ერობის მიერ მიწის ძვრის შემდეგ სახელდახელოთ აგებულ ბარაკში შესდგა გორის სამაზრო ერობის ხმოსანთა მეხუთე ყრილობა (ეს ყრილობა პირველათ მოწვეული იყო 20 თებერვალს, მაგრამ საშინელ მიწის ძვრის გამო ვერ შესდგა, თუმცა ხმოსნები თითქმის ყველანი იყვნენ).

ყრილობას თავმჯდომარეობდა ვ. ცაბაძე, მდივნობდა ვ. ეგურამიძე. დღის წესრიგში იყო: 1) გამგეობის მოხსენება, 2) დამატებითი ხარჯთ აღრიცხვა, 3) გამგეობიდან გასული წევრთა მაგიერ ახალი წევრთა არჩევა, 4) მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევა ხაშურის და ჯავის რაიონებში, 5) მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დახმარებასთან დაკავშირებული საკითხები, 6) მიმდინარე საკითხები.

ხანამ საკითხების განხილვას შეუდგებოდა, ყრილობამ მოისმინა მეორე ყრილობის ოქმი და რადგან უკვე გვიანი იყო, ოქმის მოსმენის შემდეგ სხდომა შესწყდა და განახლებულ იქნა საღამოს 6 ს. სხდომის განახლებისას რიგს გარეშე მოკლე მოხსენებას აკეთებს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის წარმომადგენელი მ. რუხაძე, მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა საკითხის შესახებ. იგი აცნობს ყრილობას იმ ორგანიზაციებს, რომელნიც დაარსდნენ მიწის ძვრის შემდეგ; პირველათ მთავრობამ სასწრაფოთ დაარსა მინისტრთა თავმჯდომარის მოადგილით საგანგებო კომიტეტი, ამ კომიტეტმა დაარსა განყოფილება ქ. გორში, სადაც შედიან ერობა, ქალაქი, შტაბი და ჯარის წარმომადგენლები, ამ კომიტეტმა თავმჯდომარეთ აირჩია დ. ონიაშვილი, ხოლო მთავრობის რწმუნებულად ექიმი ზანდუკელი. როგორც ცნობებმა გვიჩვენა, ამჟამად მომხსენებელი ამ ორგანიზაციებმა გადაცეს თავისი საქმე ვ. ი. ელიოზიშვილს სასწრაფოთ დახმარება დაზარალებულთა. ამ კომიტეტს ამის შემდეგ არ შეუძლიან საქმის გაგრძელება, ვინაიდან უკვე აღდგა ერობა და ქალაქის თვითმართველობა.

თავი და თავი მხარეები მდგომარეობისა ასე თუ ისე გამორკვეულია; გეოლოგებმა გამოიკვლიეს და კიდევ იკვლევენ მიწის ძვრის ხასიათსა და მდგომარეობას. რასაკვირველია, ეს მეცნიერება არ არის იმდენათ განვითარებული, რომ იწინასწარმეტყველონ როდის და რანაირი მიწის ძვრა მოხდება, მაგრამ, ეჭვს გარეშეა, რომ მიწის ძვრის ხაზზე ძევს ქ. გორი, მაშასადამე, შემდეგი გორისა უნდა შეეხამოს ამ მდგომარეობას. ამიტომ მეორე მხარე მუშაობისა, თუ რანაირი შენობები უნდა იყოს აგებული, რომ უზრუნველყოთ გორის არსებობა თვით მიწის ძვრის დროსაც. მესამე მხარე: რა მასალით საჭიროა, რომ შესაფერისი შენობები ავაგოთ; ამ მიზნით შემდგარია სტატისტიკური ტექნიკური ორგანიზაციები.

ასე თუ ისე, ამიერიდან საქმის წაყვანა უნდა ადგილობრივ თავის თავზე ადგილობრივმა ორგანიზაციებმა; სოფელში — ერობამ, ქალაქში — ქალაქის თვითმართველობამ. რასაკვირველია, დიდ დიდ მუშაობაში ბევრ დახმარებას გვიწევს ადგილი, მაგრამ აქ დამხმარე ადგილობრივი ორგანიზაციებიც, რომელნიც უშუალოდ დაინტერესდნენ მომხდარი კატასტროფის გამო; მაგრამ ეს ფედერალური წესია, ამაზე ლაპარაკი მეტია, ეხლა გადაჭრით მოხვედა მუშაობაზე. მომავალში ჩემი აზრით ერთი ორგანიზაცია უნდა იყოს, რომელსაც ექნება დამოკიდებულება ცენტრალურ ორგანიზაციასთან; ეს ორგანიზაცია იმუშავებს ერობის და ქალაქის თვითმართველობის საშუალებით.

მ. ახალაძე აკეთებს მოკლე ინფორმაციას, რომ დღეს აქ ჩვენზე წინ იყო კრება სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლებისა და ისინიც ამ დასკვნამდე მივიდნენ: უნდა დაარსდეს ერთი ორგანიზაცია 5 პირისაგან შემდგარი, სამი ერობისაგან და ორიც ქალაქის თვითმართველობისაგან; ამ ორგანიზაციაში შევლენ მთავრობის წარმომადგენლებიც. ამ ორგანიზაციის საშუალებით იქნება გაგრძელებული გორის და მისი მიდამოების აღდგენის საქმე, ამ ორგანიზაციის განკარგულებაში იქნება ყველა ტექნიკური ძალები და ყოველგვარი დახმარების საქმე. მ. კლიმიაშვილიც სთხოვს ბ. რუხაძეს, რომ დაიცვას ეს პოზიცია.

რუხაძე აღნიშნავს, რომ უპირველეს ამ საქმეს სათავეში უნდა ედგეს ერობა და ქალ. თვითმმართველობა. ვ. ცაბაძე აღნიშნავს, რომ ფედერალურათ კომიტეტი არსებობს, მუშაობას განაგებს ერობა, ქალაქი და რწმუნებული მთავრობისა.

რ. გაგუას შეაქვს წინადადება ბოლოს იყოს დამთავრებული ეს საკითხი.

წინადადების წინააღმდეგ გამოდის ვ. ცაბაძე და ამბობს, რომ საკითხი ძალიან რთულია და ყოველმხრივათ უნდა განიხილოს და ამიტომ დარჩეს ყრილობის დღის წესრიგში და თავის დროზე განვიხილოთ. ყრილობა გადადის მორიგ საკითხებზე.

გამგეობის თავმჯდომარე მ. ახალაძე აკეთებს მოხსენებას, რომელშიც თავის წინასიტყვაობაში აღნიშნავს იმ დაბრკოლებებს, რომლებიც დასაწყისშივე დაუხვდნენ ახალ ერობას, როგორიცაა გამოუცდელობა, უსახსრობა, ბინაობა, საჭირო პერსონალის გამონახვის სიძნელე და სხვა მრავალი. მიუხედავათ მრავალგვარი დაბრკოლებისა, გამგეობამ შესძლო ასე თუ ისე საქმის ამ დონეზე წაყვანა; დასაწყისიდანვე მოგვიხდა მაზრაში მოედებულ ავაზაკობასთან ბრძოლა, სურსათის საქმის მოწესრიგება, სწავლა-განათლების აღდგენა და სხვა. შემდეგ მომხსენებელი გადადის დაწვრილებით მოხსენებაზე ყველა დარგებიდან, სწავლა განათლებაზე, აგრონომიულ დახმარებაზე, აგრარულ განყოფილებაზე, ადმინისტრაციაზე, სასამართლოს მოწყობაზე, ტექნიკურ განყოფილებაზე: გზები, ხიდები, ტელეფონის ქსელი, სახერხი ქარხნები, მელიორ-სანიტარული დახმარება, საზოგადოებო დარგზე, სასურსათო განყოფილებაზე, სტატისტიკური, საფინანსო, ბუღალტერიაზე, კანცელარიაზე, თვითეულ დარგზე და სხვა. და შემდეგ დასკვნის: მიუხედავათ მრავალგვარი დაბრკოლებისა, გამგეობამ შესძლო ერობის საქმეები დაეყენებინა ჯეროვან სიმაღლეზე. მომხსენებელმა გამოიწვია მრავალი შეკითხვები.

პირველი: ტირიფონის ველის არხის გაყვანაზე არის თუ არა რამე ზომები მიღებული, და თუ არა, რამ შეუშალა ხელი?

მეორე: წინა ყრილობამ დაადგინა თვითდაბეგვრა და გატარებულა თუ არა ცხოვრებაში და რამდენში გახორციელებულა მიღებული თანხა?

მესამე: სარევიზიო კომისიამ განიხილა თუ არა წინასწარი წლის ანგარიში?

მეოთხე: კონტროლი ჰყავს თუ არა ერობასა?

მეხუთე: დაზღვევის საქმეები აქვს თუ არა ერობასა?

მომხსენებელი ყველა შეკითხვაზე შესაფერის პასუხს აძლევს და ამბობს: ტირიფონის ველის არხის გაყვანის შესახებ დაწვრილებით მიგვითითებდნენ, რომ არის ფულები მოგროვილი ამ საქმისთვის, ჩვენ რამდენჯერმე მივმართეთ იმ პირებს მიეცათ ცნობები ამ საქმის შესახებ, მაგრამ პასუხის ღირსიც არ გაგვხადეს, ეხლა ჩვენ იძულებული ვართ ჩვენვე მოვძებნოთ ამ საქმეზე საჭირო თანხები. ამ მიზნით ვფიქრობთ საობლიგაციო სესხის გამოშვებას. თვითდაბეგვრის საკითხი, სამწუხაროთ, ვერ გატარდა ცხოვრებაში, ხალხმა არ შეგვიწყო ხელი ამ საქმეში, ვინაიდან დარიგდა სამეურნეო ხალხის საშუალებით სოფლებში და ძალიან ცოტაა მოგროვილი, მაგრამ ჯერჯერობით მთლათ არ არის ცნობაში მოყვანილი, თუ რამდენი შეგროვილი. სარევიზიო კომისიას არ განუხილავს ანგარიში, ამის საშუალება არ მოგვეცა ჩვენი ბუღალტერიიდან, ეხლა მოვიწვიეთ ბუღალტერ ინსტრუქტორი და მალე მოამზადებს საქმეს, ისე რომ შესაძლებელი იქნება რევიზია. კონტროლის საკითხი მეორე ყრილობაზეც იყო დასმული და ღიათ დარჩა. დაზღვევის საქმე ჯერჯერობით ვერ მოვაწყვეთ.

ს. მაჭავარიანი აღნიშნავს, რომ მოხსენება, რომელიც აქ მოვისმინეთ, ეს უნდა მივიღოთ ერთგვარ ცნობით, აქ არ არის სრული ხარჯთ ანგარიშისა, ასეთი ანგარიში რომ ყოფილიყო, ის უთუოთ სარევიზიო კომისიას უნდა განეხილა; ეხლა კი ზოგიერთ დახასიათებას მოქმედებისას, საიდანაც ჩანს, რომ მოქმედების ხაზი სწორი ყოფილა აღებული გამგეობის მიერ და სრულიად ეთანხმება ჩვენს დადგენილებებს,

მ. ახალაძე აღნიშნავს, რომ ყრილობამ უფრო გარკვეულათ უნდა გამოთქვას თავისი აზრი ჩვენს მოქმედებაზე და ან დაგვიწუნოს ან მოგვიწონოს, თორემ მარტო ცნობათ მიღება ვერ დაგვაკმაყოფილებს ჩვენ მომავალ მუშაობას, საჭიროა ვიცოდეთ, რამდენათ სწორეთ ვმოქმედობთ გამგეობა და რამდენათ ვცდებით, უამისოთ ძნელი მდგომარეობა შეიქმნება მომავალი მოქმედება გამგეობისათვის.

არჩილ არაგვიშვილი აღნიშნავს, რომ სწორეთ საჭიროა გარკვეული აზრის თქმა, ჩემის აზრით გამგეობის მოქმედება დამაკმაყოფილებელია; მართალია, ზოგ ერთ დარგში შეცდომებიც იყოს საჭირო, მაგრამ საერთოდ მოხსენებიდანაც ჩანს და ჩვენც ვხედავთ, რომ გამგეობას დიდძალი შრომა მიუძღვის და მისი მუშაობა მოსაწონია.

მამალაძე: ჩვენ არ გვაქვს საშუალება დაწვრილებით გავერკვიოთ გამგეობის მოქმედებაში, მაგრამ ისე საზოგადოთ აღსანიშნავია, რომ ამ პირობებში მეტის გაკეთება მოუხერხებელი იყო და გამგეობას მადლობა უნდა გამოუცხადოთ ამ წლის მუშაობაზე.

ი. ლომაური: მოხსენება მეტისმეტათ საზოგადო ხასიათისა იყო, აქ არ იყო მოყვანილი თითოეულ დარგზე დაწვრილებით ანგარიში საქმიანობისა და ხარჯთ-აღრიცხვა; და, როცა ამ ხარჯთ-აღრიცხვას შევხედით, მაშინ შეიძლება ან დავიწუნოთ და ან მოვიწონოთ ესა თუ ის დარგი, მოხსენება ისე მოსაწონია, მაგრამ არ ვიცით რამდენათ მუშაობა ფულის ხარჯვის მხრივ სწორი იყო და ამიტომ ჩემს აზრს ვერ ვიტყვი.

მ. ახალაძე: შემცდარი აზრია, რომ ყოველ დროს გამგეობა მზათ იყოს ხარჯთ აღრიცხვით. დღეს თუ რამეს ვიტყვით ხარჯთ აღრიცხვაზე, ეს იმ ცვლილებებზე, რომლებიც გამოწვეულია სიძვირის გამო, მაგრამ მუშაობის შესახებ რამე უნდა ითქვას, თქვენ უნდა აიღოთ ჩვენი მუშაობა ამ პირობებში და დააფასოთ. ჩვენი მოხსენებაც, რომ არ ყოფილიყო, თქვენ ადევნებდით თვალყურს ჩვენს მოქმედებას და კიდეც უნდა დააფასოთ.

ს. მაჭავარიანი: მე კიდევ ვამბობ, რომ ხაზი მოქმედებისა სწორეა აღებული. ამ გამგეობამ არავითარიდან დიდი საქმე შექმნა და მე, როგორც სარევიზიო კომისიის წევრმა, ოფიციალურად ვაცხადებ, რომ რამდენჯერაც ვნახე, მუდამ სწორი იყო, ანგარიშის მოთხოვნასაც თავისი აზრი აქვს, მაგრამ მოქმედებასაც ამ მოხსენების მიხედვით თავისი ღირსებები აქვს, ჩემის აზრით ეს მოქმედება ღირსია მადლობის და მთლათ დამაკმაყოფილებელი.

არჩილ არაგვიშვილი: მთელმა ამ მოქმედებამ ჩვენ თვალწინ განვლო და კარგათ ვიცით ყველა ხმოსნებმა, რომ ეს მოქმედება, ეს საქმიანობა მთლათ დამაკმაყოფილებელია.

შემოვიდა წინადადება კამათის შეწყვეტისა. კამათი შეწყდა და ყრილობამ მიიღო შემდეგი დადგენილება. გორის მაზრის ერობის ხმოსანთა მეხუთე ყრილობამ მოისმინა რა მოხსენება გამგეობისა, ყრილობა ადგენს, რომ გამგეობის მიერ გატარებული ხაზი შეეფერება ყრილობის დადგენილებებს, იწონებს ამ მუშაობას და გადადის მორიგ საკითხებზე.

ხაშურის და ჯავის რაიონების მომრიგებელ მოსამართლეთა კანდიდატების წარმოდგენა მიენდო კომისიას შემდეგი შემადგენლობით: ს. მაჭავარიანს, რ. გაგუას, დ. კალატოზიშვილს და ზ. ფიქრიაშვილს.

სიგვიანის გამო კრება დაიხურა.

(შემდეგი იქნება).

ი. ქუთათელი

ს.-დ. პარტიაში

ნავთლუღი. 14 აპრილს შესდგა მე-7 რაიონული კოლექტივის ჩვეულებრივი კრება; თავმჯდომარეობდა ამხ. კვერნაძე. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები. 1) მოხსენება თფილისის კომიტეტიდან. 2) მოხსენება [illegible]. 3) საწევრო გადასახადები. 4) კლუბის გამგეობიდან განცხადება.

თფილისის კომიტეტიდან მოხსენება გააკეთა ამხ. ლორია, მოხსენება მრავალ მხრივ იყო საყურადღებო, რომლიდანაც გამოტანილ იქნა შემდეგი კითხვები: 1) პირველი მაისობა. 2) მომავალი პარტიული ყრილობის შესახებ.

პირველი კითხვის შესახებ კოლექტივმა იმსჯელა და გადასწყვიტა რაც შეიძლება აქტიური მონაწილეობა მიიღოს, ცენტრალური მომწყობ კომისიაში არჩეულ იქნა ამხ. ჯანგიძე. ადგილობრივ კომისიაში არჩეულ იქნენ: კვერნაძე, ხეჩიაშვილი, პირისპირაშვილი, შონვაძე, ლომია, ჯანგიძე, გბრალიძე, რაზმაძე, ხუციშვილი; კონფერენციაზე დასმული კითხვების განხილვისთვის მოწვეულ იქნას არაჩვეულებრივი კოლექტივის კრება ხუთშაბათს, 4 ს., ხოლო საერთო კრების მოწვევა მოხდეს ხუთშაბათს 4 საათზე, სადაც იგივე კითხვები იქნება განხილული, რაც იქნება ცალკე გამოცხადებული პროგრამაში.

საპროფესიონალო მოხსენება გააკეთა ამხ. გუმბერიძემ, რომელმაც გააშუქა საპროფესიო საერთო მუშაობის შესახებ, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ამ რაიონში მუშაობის საქმე ძალიან ცუდათ არის ყოველ მხრივ. ის სთხოვს კოლექტივს მიიღოს სასწრაფო ზომები და გააცოცხლოს მუშაობა. კამათში მონაწილეობა მიიღო ყველა ამხანაგებმა, რის შემდეგ გამოტანილ იქნა შემდეგი დადგენილება: შესწავლილ იქნას რაიონის გზის რაიონულ გამგეობის და ასევე გაეგზავნოს ცენტრ. გამგეობას, რათა მიღებულ იქნეს ზომები საპროფესიო მუშაობისათვის, სურსათის მიწოდების შესახებ, გაიგზავნოს კიდევ წარმომადგენელი კოლექტივიდან, ერთი რკ. გზის გამგეობიდან, რომელთაც უნდა მოიწვიონ ადგილობრივად საერთო კრება და გაეცნონ საერთოდ ადგილობრივ საქმეებს. საბაღოში გამოგზავნილ ბიროს მოქმედების შესახებ კოლექტივი აძლევს სათანადო დირექტივებს ადგილობრივ ორგანიზაციას, თუ როგორ უნდა მოიქცეს და რა როლი ითამაშოს ამ საქმეში კოლექტივი, როგორც პოლიტიკური ორგანო. საწევროს აკრეფად არჩეულ იქნა ამხ. იმნაიშვილი.

დადგენილ იქნა ეცნობოს ყველა „ისკრის" პროფესიონალებს, რომ მოაგროვონ და დროზე შემოიტანონ საწევრო გადასახადი.

მეოთხე კითხვა მოხსნილ იქნა.

მოხალისეების შემოსვლის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. იმნაიშვილმა. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ფანჯიკიძემ, ლორიამ, სარჯველაძემ, კვერნაძემ და სხ. გამოტანილ იქნა შემდეგი დადგენილება: ეცნობოს ყველას იყვნენ ფხიზლად და თვალ-ყური ადევნონ შემოსულ ძალთა მოქმედებას, აგრეთვე ვისგან ჯერ არის მიღებულ იქნას ყოველ შემთხვევისათვის სასტიკი ზომები.

ვ. ლეჟავა

პროფესიონალურ კავშირებში

განახლებულ ლითონზე მომუშავეთა კავშირში.

13 აპრილს შესდგა განახლებულ ლითონზე მომუშავეთა კავშირის გამგეობის კრება ლ. მამალაძის თავმჯდომარეობით. განხილვაში იყო შემდეგი საკითხები: პირველი მაისობის დღესასწაულის მოწყობა, სამხედრო სახერხის მუშების განცხადება, ზომების გამომუშავება იმ პირთა შესახებ, რომლებიც არ სცნობენ პროფესიონალურ კავშირს, საინჟინრო საწყობის მუშების განცხადება და მიმდინარე კითხვები.

პირველი მაისობის მოწყობა მიენდო გამგეობიდან გამოყოფილ კომისიას: ო. ლიკეპაძეს, გ. ახალშენიშვილს, ხაბაზიშვილს, ჯანღოევს და ჩიქინვაძეს, რომლებმაც უკვე იქონიეს სხდომა და გამოიმუშავეს შემდეგი გეგმა: 1 მაისს დილით 9 საათზე არსენალში თავს იყრიან ყველა წევრები განახლებულ ლითონზე მომუშავეთა კავშირისა. იქიდან მორთული ავტომობილებით შესაფერი პლაკატებით, დროშებით და მუსიკით გამართავენ არსენალის, ვორონცოვის და ბარიატინის ქუჩებით მუშათა სასახლისაკენ, სადაც სოციალ-დემოკრატიის საერთო გეგმის მიხედვით იმოქმედებენ.

სამხედრო სახერხის ქარხნის მუშებმა განაცხადეს, რომ ძველი ლითონზე მომუშავეთა კავშირი მათ ეკონომიურ ცხოვრებას არავითარ ყურადღებას არ აქცევს და ისინი არ სარგებლობენ იმ ფასიანი სანოვაგის მიწოდებით, ეს მათ გაჭირვებულ მდგომარეობაში აყენებს, ამიტომ გადასწყვიტეს გამოვიდნენ ძველ კავშირიდან, რომ როგორმე თავი დააღწიონ იმ ანარქიას, რომელიც იქ სუფევს და შეუერთდნენ განახლებულ ლითონზე მომუშავეთა კავშირს. აირჩიეს ი. ლაცაბიძე და ლ. ანთიძე ადგილობრივი კრების მოხსენებანათ და საბოლოოთ შემოერთების გადასაწყვეტათ.

ის პირები, რომლებიც არ სცნობენ პროფეს. კავშირს თანახმად წესდებისა, იქნებიან კავშირიდან განდევნილი საზოგადო კრებამდე, აგრეთვე დაკარგავენ ადგილს.

საინჟინრო საწყობის მუშებს ჯერაც არ მიუღიათ 60 პროც. მომატება, აგრეთვე ადმინისტრაცია უქვითავს უქმე დღეების ხელფასს თვეურ მუშებს. ამის გამორკვევა მიენდო კომისიას.

ო. მაზიშვილი.

მუშათა შორის

სამტრედია. რეზოლუცია, რომელიც იქნა გამოტანილი 11 აპრილს, 1920 წ. სამტრედიის მუშათა კლუბში და ერთხმად იქნა მიღებული.

სამტრედიის რაიონის დემოკრატიის მრავალრიცხოვანი კრება, რომელიც შეიკრიბა სახალხო უნივერსიტეტის განყოფილებაში, მოისმინა რა შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის მოხსენება მომენტის შესახებ, სადაც დახასიათებულ იქნა ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა, პოლიტიკური, ეკონომიური და შინაური პოლიტიკის მხარეები, იზიარებს რა გამოთქმულ დებულებებს, მიესალმება საქართველოს ეროვნულ ორგანოს დამფუძნებელ კრებას და მთავრობას და ფიცსა სდებს, რომ იგი მზათ არის მხარი დაუჭიროს დემოკრატიულ ხელისუფლებას და მის ინტერესების დამცველ მთავრობის გამოძახილს და ფეხზე დადგეს—იბრძოლოს მის მტრის გადადგმული ნაბიჯების გასანადგურებლად. მას არ აშინებს არავითარი საფრთხე.

კლუბის გამგეობის თავმჯდომარე

დ. ბაქრაძე.

პროვინცია

ზემო გომი (ქართლი). 28 მარტს, შესდგა გომის სათემო ერობის ხმოსანთა საბჭოს მორიგი კრება. კრებაზე მოწვეული იყვნენ გორის სამაზრო ერობის გამგეობის წევრები მელიქიძე და ჯავახიშვილი.

დღის წესრიგში მთავარი საკითხებად იყო დასმული: მიწის რეფორმა და განათლების საქმე რაიონში.

მიწის საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ვ. ჯავახიშვილი, ის ფართოდ ეხება საგანს და უხსნის დამსწრე საზოგადოებას მიწის კანონის შინაარს და ამბობს: მიწის კანონი, როგორც ასეთი დემოკრატიულად დაფუძნებული კრების მიერ. პირველი ნაწილი რეფორმისა, ე. ი. მიწის ჩამორთმევა მემამულეებისაგან რესპუბლიკაში—უკვე დაგვირგვინდა; მეორე ნაწილი, რომლის ცხოვრებაში გატარებას ეხლა უკვე შეუდგა მთავრობა და თანახმად კანონისა პირველად ყოვლისა მიწა მიეცემა უმიწოებს და მცირე მამულის მქონე მშრომელ ხალხს. მიწის საკითხი რთული საკითხია, ამ საკითხის მოწესრიგებას ისე, რომ უმტკივნეულოდ ჩატარდეს—დიდი შრომა და ენერგია სჭირდება.

მიუხედავათ იმისა, რომ კანონი მშრომელ მასის საინტერესოთ არის დაწესებული, მისი ამსრულებელთა კალამში, ჩვენდა სამწუხაროდ, არ მოიძებნება ყველა იგეთი პირები, რომელნიც საკუთარი ინტერესებისათვის კანონის შინაარს ამახინჯებენ, რომ ჩრდილი და ეჭვი მიაყენონ კანონს [illegible]. მართალია, არის ზოგიერთი შემთხვევები, რომელიც ბადებს უკმაყოფილებას, მაგრამ ეს კანონის ბრალი როდია, აქ მოქმედის დანაშაულია, [illegible] კანონის სისრულეში მოყვანა და ის სწორეთ ხალხს აქ [illegible] და ყოველი უკანონო მოქმედება მიწის კომისიისა დაწვრილებით უნდა ეცნობოს თვით გამგეობას, რომელიც გამოიძიებს მაშინვე და სასწრაფოთ აცნობებს სამაზრო ერობას, სამაზრო ერობა კი არავის არ აპატიებს უკანონო მოქმედებას.

სწავლა-განათლების საკითხზე შინაარსიან მოხსენებას აკეთებს ამხ. მელიქიძე, რომელიც აღნიშნავს, რომ სამაზრო ერობა უმთავრეს ყურადღებას სწავლა-განათლების საქმეს აქცევს. გომის რაიონში ერობის დაარსებამდე სულ რაღაც ორიოდე სკოლა არსებობდა ქართული, დღეს უკვე ათი სკოლა მოქმედებს რაიონში, მართალია, ამ სკოლებში მასწავლებლები დიდ გაჭირვებას განიცდიან ყოველ მხრივ, მაგრამ ამჟამინდელ მდგომარეობამ გული არ უნდა გაგვიტეხოს, რადგანაც ჩვენ ვიცით, რომ ახალშენებულობითი საქმეში, როგორიც არის კაცი ნაწამები, მას ბევრი დაბრკოლებები შეხვდება. რანაირიც არ უნდა იყოს დაბრკოლება, თუკი კაცი საქმეს გულმოდგინედ აკეთებს ის საქმე ყოველთვის კეთილად დაგვირგვინდება. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ დაადგინა: გთხოვოს სამაზრო ერობას საჩქაროდ იქნეს გომის რაიონში გამოგზავნილი ოცდაათი მიწის მზომელი, რომელიც ხელს შეუწყობს მიწის კანონის თავის სისწორით ცხოვრებაში გატარებას. მიეცეს წინადადება აგრარულ კომისიას შეუფერხოდ აწარმოოს მუშაობა და რაც შეიძლება დაჩქარებით. აგრეთვე დაევალოს კომისიის წევრებს, რომ თავიანთი მოქმედების ანგარიში ყოველ სხდომაზე წარმოადგინონ ხოლმე.

სწავლა განათლების შესახებ კრება ადგენს: რომელ სოფელშიც არა აქვს სკოლას საკუთარი ბინა, იძულებული იქნას აქ აშენებული სოფლის მიერ სკოლა და ამგვარი საშუალებით მიეცეს სწავლა-განათლებას ფართო ასპარეზი. მიეცეს წინადადება მშობლებს, რომ სწავლის დამთავრებამდე ბავშვები სკოლიდან არ გაიყვანონ.

სარდალი.

ფოსტა-ტელ. მოხელეთა საყურადღებოდ.

(წერილი რედაქციის მიმართ).

„ერთობის" მე 67 ნომერში მოთავსებული იყო ჩემი წერილი, ხაზუმის თემიდან. სხვათა შორის, წერილის ბოლოში გამოვუთქვამდი იმ წუხილებას, რომელიც გამოწვეულია ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა არა სასურველი საქციელის გამოისობით, რაც აწვევს ჟურნალ-გაზეთების ხელის მომწერთა დიდ უკმაყოფილებას და გულის წყრომას მათდამი.

ამ წერილის შესახებ ხსენებული ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურე ამხანაგებმა პირადათ მე მისაყვედურეს, ვითომ ჩემი წერილი საფუძვლით მათ ეხებოდეს. მე ის არ გამომითქვამს, ვითომ ხსენებულ ბრალდებაში ისინი ყოფილიყვნენ დამნაშავენი, არამედ—ეს იმ დირექციის დანაშაულია, რომელიც გაზეთის ნახევრით გაცემის [illegible] გაზეთებს. მე დღემდე [illegible] ვერ დაბა ხაზუმში მოსული [illegible] გაზეთობას არ აკლდება, მაგრამ ეს თვეში რი ყურის გდება მათი მხრიდანაც საჭიროა, რომ მოახდინონ კარგი ძიება იმის შესახებ, თუ რომელ დისტანციაში მიეკუთვნება თავი ორგულ მუშაობებს. ასეთი ამბავი ხშირათ ხდებოდა ძველი რეჟიმის დროს. დღეს კი, თავისუფალ სახელმწიფოში, ყოვლად დაუშვებელია. საჭიროა ამას მიექცეს ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოსაგან ჯეროვანი ყურადღება, რათა მომავალში ნიადაგი არ ქონდეს ასეთ დაუდევრობას.

ერასტი კაპანაძე.

განცხადებანი

იყიდება

მეველებური ფაიფური, ბრინჯაოს ხვილის ძველი, სურათები და სხვა საგნები

დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე. მისამართი: სამხედრო ქუჩა № 13, ბინა 1. (1289 3—1)

საჩქაროდ იყიდება საკლასო

60 „პარტა"

20 ცალი თითო 500 მან. 40 ცალი თითო 750 მან. პლეხანოვის ქუჩა 25 (ყოფ. მიხეილის ქ.) შესავალი ალექსის ქუჩიდან 5, მაჩაბლის ბინა 9—4 ს. (1276—3—3)

ექიმი მ. ა. შაფრანი

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალებს 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღის ქუჩა № 33. (1288 25—1)

კბილის ექიმი

ე. თ. ლორის-მელიქიშვილი ჯიბლაძისა

და მისი ასისტენტი მ. ა. დადიანი იღებენ კბილით ავადმყოფებს: აკეთებენ ხელოვნურ კბილებს, ასწორებენ და ხსნიან მტკივან კბილებს. ავადმყოფებს მიიღებენ დილის 10—2 საათ. და საღ. 4—6 საათ. ანასტასიას ქუჩა № 13. ტელეფონი 3—63. (21—8)

მედიცინის დოქტორი

ივ. ლუღაძე

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა, მიღება საღამოს 4—7 საათ. მზნიკოვის ქუჩა, სახლი № 3, ბინა № 5. პლეხანოვის პროსპექტის შესახვევში. (1259—14—3)

ექიმი

ნიკოლოზ მახვილაძე

იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსაკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48—8)

ექიმი

ი. ი. ჭეიშვილი

იღებს სპეციალურად: სიფილისით (შეშხაპ. 606—914), ვენერიულ და საშარდე ორგანოების სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. ლერმონტოვის ქუჩა № 72, ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. (1224—თ.)

თბილისში

ექიმი აბაშიძე

დაბრუნდა, ავადმყოფებს შინაგან (გულის, ფილტვების, კუჭის და ნაწლავების) სნეულებით, „ტუბერკულინით" და „ფოსფატით", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914" და „606" შეშხაპუნებით. ქ. სოლოლაკის სახლში. (კუპ. 188.)

ექიმი ქალი

მ. მ. ალფეევი

წყნეთის ქუჩა № 28. იღებს ყოველ დღე 12—2 საღამოს 6—7. სპეციალურად ქალების ავადმყოფობა. და ვენერიული ავადმყოფობა.

ექიმი ი. ტ. ხარაშვილი

იღებს შინაგან და [illegible] ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. [illegible] ქუჩა № 67, [illegible] აფთიაქის ახლოს.